# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლიდან • ფასი 1,5 ლარი

№76 (9907) 2025 წლის 2 ივნისი, ორშაბათი


# და ბრძნად გვაჩვენებს თავს რეგვენი გამობრძმედილი...

ძნელი დასაჯერებელია, ამ უვიცი მომღერალ-მსახიობის მხარდამჭერებს მსოფლიოს პოლიტიკურ რუკაზე არასოდეს დაეხედოთ; არც ის იცოდნენ, რომ რუსეთს საქართველოს ტერიტორიების ოცი პროცენტი დაპყრობილი აქვს.

ეს არცთუ მთლად ყმაწვილური ასაკის „პატრიოტი“ კი რუსეთის დროშას საჯაროდ შეურაცხყოფს და ამით ამაყობს კიდეც. ალბათ კიდევ უფრო იამაყებს, როცა საქართველოს ხელისუფლებას კრემლის წინაშე ამ მავნებლური უგუნურების გამო საჯაროდ ბოდიშის მოხდა მოუწევს (თუ კრემლმა ეს გვაკმარა!).




იხ. 2 გვ.



8

## დაიმახსოვრეთ 2025 წლის 31 მაისი!..

ბიძინა ივანიშვილი:

ვულოცავ მთელ საქართველოს, ვინაიდან თითოეული ჩვენგანისთვის ეს გამარჯვება დიდი სიხარულისა და სიამაყის მომტანია



5

The Daily Telegraph

## ბრიტანეთს სტალინი ისევ ყელში გაეჩხირა!!!

რუსეთში 2021 წელს მოსახლეობის 70%-ის მიერ იოსებ სტალინი „ყველა დროისა და ეპოქის უდიდეს და გამორჩენილ ფიგურად“ იქნა შერაცხილი



7

პაატა ნაცვლიშვილი:

## პოდა, მამათა და შვილთა ბრძოლისათვის

## გალიაშია ხულიგანი,



ანუ 3 დაიცავით „ოჩერედი“!

## თბილისი დატვირთულობის პიკზეა, ყოველი მესამე მოქალაქე უკვე დედაქალაქში ცხოვრობს 4



10

## თეატრალური ზეიმი – „რაჭა 2025“

## ხელოვნურმა ინტელექტმა 11 ადამიანების შანტაჟი დაიწყო

## ვანო ჩხიკვაძის საბავშვო ლექსები დიდებისთვის...



9

WWW.SAK.GE ელ.ფოსტა: SAK@SAK.GE



# და ბრძნად გვაჩვენებს თავს რეგვენი გამობრძმედილი...



**რაც უფრო დროზე ვაღიარებთ, მით უკეთესი — საქართველოში შექმნილი პოლიტიკურ-ინტელექტუალური ვითარება იმაზე გაცილებით ტრაგიკულია, ვიდრე ეს შეიძლება ერთი შეხედვით მოგვეჩვენოს. მოდით, ბოლო დროს საყოველთაო მსჯელობის საგნად ქცეული რამდენიმე გახმაურებული მაგალითი გავიხსენოთ.**

**ვწუხვარ, მრცხვენია კიდეც, მაგრამ თავისი ნამდვილი ქართველობით და უკიდეგანო პატრიოტიზმით მოამაყე ვინმე ,,ცნობილი“ მომღერალ-მსახიობის საქციელით უნდა დავიწყო. გვარს არ დავასახელებ და, ამ ,,ცნობილმა“ ერთ-ერთ სცენაზე ნომრის შესრულების შემდეგ რუსეთის დროშა გაშალა, მაყურებელს დაანახვა, მერე დაჭმუჭნა, შებრუნდა (მადლობა მას ამისთვის!) და ჩვენი დიდი და აგრესიული ქვეყნის სიმბოლოს დემონსტრაციულად... მიაფსა!**



**და ეს გააკეთა თავისი პატრიოტული მრწამსიდან გამომდინარე – „რუსი მტერია და ამიტომ მის წინააღმდეგ ბრძოლის ყველა ხერხი გამართლებულია!“**

დავიწყოთ იმით, რომ ასეთი საქციელი, თუნდაც დაუძინებელი მტრის წინააღმდეგ მიმართული, არის ამორალური და ნებისმიერი მეტნაკლებად კულტურული ადამიანისათვის შეუფერებელი; ვერაფერს აკლებს უშუალოდ ადრესატს (ამ შემთხვევაში, რუსეთს), მაგრამ ძალიან ცუდად მოქმედებს „ცნობილის“ მშობელი ქვეყნის, საქართველოს საერთაშორისო რეპუტაციაზე.





ამავე დროს, „ცნობილები“ და მათი ინტელექტუალური ნათესავ-მხარდამჭერები ჩვენი კარის მეზობელი „რუსის“ სამხედრო სიძლიერესა და დაუნდობლობაზე თვითონვე გაუთავებლად ლაპარაკობენ. ამის დამამტკიცებელი მაგალითიც ხომ ჩვენს თვალწინაა — რუსეთის სლავური სახელმწიფო უკვე მეოთხე წელია დაუნდობლად ებრძვის და მიწასთან ასწორებს მის ისტორიულ ძმას და მეგობარს, მეორე სლავურ სახელმწიფო უკრაინას! მიწასთან ასწორებს იმის მიუხედავად, რომ უკრაინას გვერდში უდგას ევროკავშირი, დიდი ბრიტანეთის გაერთიანებული სამეფო და თვით ამერიკის შეერთებული შტატებიც.

რაც ყველაზე საშიში და ყველაზე სამარცხვინოა — „ცნობილმა“, მისმა უკლებლივ ყველა მხარდამჭერმა შესანიშნავად იცის, რომ დროშა არის მსოფლიოს ყველა ქვეყნის წმინდა სიმბოლო და მისი შეურაცხყოფა (მით უფრო ასეთი ბინძური შეურაცხყოფა) მიმართულია არა ქვეყნის მეთაურის, არამედ მთლიანად ამ ქვეყნისა და ხალხის წინააღმდეგ. ხოლო როცა საუბარი საგანგებო ვითარებაში ყელამდე ჩაფლულ პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინზეა, მისი პასუხის პროგნოზირება შეუძლებელია.

**ძნელი დასაჯერებელია, ამ უვიცი მომღერალ-მსახიობის მხარდამჭერებს მსოფლიოს პოლიტიკურ რუკაზე არასოდეს დაეხედოთ; არც ის იცოდნენ, რომ რუსეთს საქართველოს ტერიტორიების ოცი პროცენტი დაპყრობილი აქვს. არ იცოდნენ, რომ დღევანდელ მსოფლიოს რუსეთ-უკრაინის ძმათამკვლელი დაპირისპირების მესამე მსოფლიო ომად გადაქცევის შიში ზარავს და ნებისმიერ ფასად აქედან თავის დაღწევას ცდილობს... ეს არცთუ მთლად ყმაწვილური ასაკის „პატრიოტი“ კი რუსეთის დროშას საჯაროდ შეურაცხყოფს და ამით ამაყობს კიდეც. ალბათ კიდევ უფრო იამაყებს, როცა საქართველოს ხელისუფლებას კრემლის წინაშე ამ მავნებლური უგუნურების გამო საჯაროდ ბოდიშის მოხდა მოუწევს (თუ კრემლმა ეს გვაპატია!).**

დარწმუნებული ვარ, ანტისახელმწიფოებრივ ქმედებებში გადაზრდილი ანტისახელისუფლებო ჯგუფების დღევანდელი ქმედებები თუნდაც უახლოესი მომავლის თაობისთვის ძნელად ასახსნელი იქნება. მართლაც აუხსნელი, საოცარი ვითარებაა: უკვე ორას დღეზე მეტია არ წყდება ქუჩის საპროტესტო მიტინგები; ორას დღეზე მეტია მოპროტესტეები მოითხოვენ ხელისუფლების გადადგომას; ორას დღეზე მეტია მოპროტესტეები ამტკიცებენ, რომ ვადაგასული ყოფილი პრეზიდენტი (შინაურულად - სალო ზაზო) არის უფლებამოსილი პირი; ორას დღეზე მეტია ყოვლად უსაბუთოდ აცხადებენ, რომ მარშანდელი საპარლამენტო არჩევნები გაყალბდა, დღევანდელი ხელისუფლება „არალეგიტიმურია“ და უნდა გადადგეს; არჩეული პრეზიდენტი „არალეგიტიმურია“ და უნდა გადადგეს; უნდა შეიქმნას მითიური „ტექნიკური მთავრობა“, უნდა ჩატარდეს ოპოზიციური საპარლამენტო არჩევნები...

ცალკე აღნიშვნის ღირსია პირადად მარადიულად „ლეგიტიმური“ ზურაბიშვილის აბსოლუტურად გაუგებარი გამოსვლები.

ოდესღაც დიდი ბანისა და ქართველი ხალხის სიყვარულით გარემოსილი, საბოლოოდ გზაარეული, გაპოლიტიკოსებული პაატა ბურჭულაძის მართლაც ანეკდოტური პოლიტიკური განცხადებები უკვე კარგა ხანია აღარავის უკვირს. უბრალოდ, დღემდე აუხსნელი რჩება, რა ამოძრავებს ამ ოდესღაც უპოპულარეს მომღერალს, რა უბიძგებს, მაგალითად, ასეთი შენაარსის განცხადებებისკენ:

**„არჩევნები, რომელსაც ივანიშვილი ატარებს, დიდი შანსია, რომ გაყალბდეს - რაც შეეხება ინტერნეტით ჩატარებულ არჩევნებს, ჩვენ დღეს ჩავატარეთ პრეზენტაცია, რომელიც არის უტყუარი და, რომელიც გამოიღებს თავის შედეგს.“**

გასაგებია, რომ გაპოლიტიკოსებული მომღერალი შემოდგომაზე დანიშნულ „ადგილობრივ“ არჩევნებს გულისხმობს. გაუგებარია, რას ნიშნავს „ინტერნეტით ჩატარებული არჩევნები“ და რაღაცის „უტყუარი პრეზენტაცია“, რომელიც, თურმე, „გამოიღებს თავის შედეგს“.

კიდევ უფრო გასაოცარია დღემდე ქართველი ხალხის (მათ შორის, ჩემი მოკრძალებული პერსონისაც) უსაზღვრო სიყვარულითა და პატივისცემით გარემოსილი ნანი ბრეგვაძის „ანტიბიძინური“ გამოსვლები. კი ბატონო, ჩვენ, საქართველოს ყველა მოქალაქეს, გვაქვს სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება. მათ შორის, მეც — შემიძლია მწარედ ვაკრიტიკო ხელისუფლება, მმართველი პარტია და მისი საპატიო თავმჯდომარე ბიძინა ივანიშვილი. ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე, გავაკეთებდი კიდეც, ამის საშუალებას უაზროდ აგრესიული მოქმედი ოპოზიცია რომ მაძლევდეს. ჩემი საქციელის გამო, სინდისიც არ შემაწუხებდა, რადგან მე ვარ თავისუფალი ადამიანი; არ ვარ დავალებული არც ბატონი ივანიშვილისგან და არც, ზოგადად, მოქმედი ხელისუფლებისაგან (თუ, მათ მიერ ქვეყნისთვის გაკეთებულ სიკეთეებს არ გავითვალისწინებთ).

**უცნაური და ამორალური ის იქნებოდა, ივანიშვილის ჯიბიდან ყოველთვიურად ათასობით ლარი მიმეღო და ივანიშვილი მეკრიტიკებინა!**

**ნუ მისაყვედურებთ, რომ არაფერს ვამბობ ეკა ბესელიას, გია ხუხაშვილის, თაკო ჩარკვიანის და სხვათა ანალოგიურ განცხადებებზე – მათ „ავტორიტეტს“ ნებისმიერი ამორალური განცხადება ვერც რამეს შემატებს და ვერ რამეს დააკლებს. ნანი სხვაა, იგი არ გახლავთ ვინმე წითელკაბიანი გოგოების ქუჩური მარშის რიგითი წევრი–საქართველოს, ქართველი ხალხის სახე და თაყვანისცემის ობიექტია. მისი ყველა ქმედება ქართველობის ყურადღების ცენტრშია; მისი ყველა, უკლებლივ ყველა საეჭვო ნაბიჯი მყისიერად და სამარადჟამოდ აისახება მის ავტორიტეტზე. წესით, ეს ნანის ოჯახის წევრებმა და ახლობლებმა ყველაზე უკეთ უნდა იცოდნენ. სამწუხაროდ, ეტყობა, არ იციან!**

ქართული მომიტინგე საზოგადოების სრული უვიცობის (არ მინდა, გასული საუკუნის 30-იანი წლებიდან ავად ცნობილი ტერმინი „მავნებლური“ გავიხსენო) მანიშნებელია, რომ იგი (მომიტინგე საზოგადოება), თუნდაც თვით მარადიული პრეზიდენტი სალო ზაზოს მოწოდებით, უსმენს და ტაშს უკრავს ევროპარლამენტარ რასა იუკნევიჩიენეს. სწორედ იმ ქალბატონს, აგერ უკვე რამდენი ხანია, რუსეთ-უკრაინის ომში საქართველოს ჩათრევას დაუღალავად რომ ცდილობს — თუ ქართველები ამ ომში ჩაებმებიან, რუსები ბალტიისპირეთის ქვეყნებისთვის ვერ მოიცლიანო; ვისაც ქართულ ჟურნალისტიკაზე, საერთოდ, არავითარი წარმოდგენა არა აქვს და ხელისუფლების სახელის გასატეხად, ჯიუტად ცდილობს უდანაშაულოდ წარმოადგინოს რატომღაც ჟურნალისტად შერაცხილი მოხულიგნო მზია ამაღლობელი, ვინც პოლიციის ოფიცერს საჯაროდ სილა გააწნა!

* * *

**ერთი შეხედვით, თითქოს გაუგებარი, საღი გონებისთვის აუხსნელია ქართული რადიკალური ოპოზიციის (თუ შეიძლება მას, საერთოდ, ოპოზიცია ეწოდოს) უაღრესი გაწიწმატება 26 მაისის უცხო ქვეყნებიდან მოლოცვის გამო.**

როგორც მოსალოდნელი იყო, ამ თვალსაზრისით განსაკუთრებული ყურადღება დაიმსახურა აშშ-ის პრეზიდენტ დონალდ ტრამპის მისალოცმა წერილმა პრეზიდენტ მიხეილ ყაველაშვილისადმი:

**„ბატონო პრეზიდენტო, დღეს საქართველოს დამოუკიდებლობის 107-ე წლისთავია – ეპოქალური თარიღი ქართველი ხალხის ბრძოლაში სუვერენიტეტის, უსაფრთხოებისა და ეროვნული იდენტობისათვის, თაობიდან თაობამდე მძიმე სირთულეებისა და გამოწვევების ფონზე რომ მიმდინარეობდა. ჩემი ადმინისტრაცია ცდილობს განამტკიცოს მშვიდობიანი და ნაყოფიერი ურთიერთობები საქართველოს მთავრობასთან. სამომავლოდ ველოდები ჩვენს ქვეყნებს შორის ეკონომიკური კავშირების გაღრმავებას სამართლიანი ვაჭრობის მხარდაჭერისა და ორმხრივი თანამშრომლობის არეალის გაფართოების გზით. გულითადად ვულოცავ ქართველ ხალხს ამ მნიშვნელოვან თარიღს, რომელიც ქვეყნის გამორჩეულ და მრავალფეროვან ისტორიას ასახავს.”**

როგორც ხედავთ, ეს არის დიპლომატიური ურთიერთობის წესების სრული დაცვით შედგენილი ყოვლად ჩვეულებრივი მისალოცი ბარათი, რომელიც კრიტიკას არ იმსახურებს. მით უფრო, არ იმსახურებს, სავარაუდოდ, სტრიქონებს შორის ღრმად დამარხული ბნელი აზრების გამომზეურების მცდელობებს.

არადა, ჩვენმა ყოვლად განათლებულმა მიშხაბთიკო ოპოზიციამ ჯერ ტექსტის ორიგინალი მოითხოვა. ღრმა ფილოლოგიურ-არ-



ქეოლოგიური „გათხრების“ შემდეგ კი დაადგინა, რომ ამ წერილიდან გამომდინარე, ამერიკის მთავრობა და პირადად პრეზიდენტი ტრამპი საქართველოს, ბოდიში–ივანიშვილის არალეგიტიმურ ხელისუფლებასთან–თანამშრომლობას არ აპირებს და არც დააპირებს!

მისივე აზრით, დანარჩენი მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყნიდან მიღებული ანალოგიური მისალოცი ბარათების გახსენებაც კი არ ღირს. აი, ეს ბარათები რომ ლეგიტიმური ზურაბიშვილის, ან მარადიული სააკაშვილის, ან თუნდაც ყოფილი პრეზიდენტ მარგველაშვილის მისამართით მოსულიყო, სხვა საქმეა!

ვფიქრობ, განსაკუთრებით შთამბეჭდავი მაინც ნაადვოკატარ-ნაპარლამენტარ-ნაბიძინისტარ ეკა ბესელიას განცხადებაა: **„არც არავინ დაიჯერებს, რომ ყაველაშვილს ულოცავს ამერიკის პრეზიდენტი დამოუკიდებლობის დღეს“.**

– მა, ვის უნდა მიულოცოს, ქაა – „პაჩტი“ ნახევარი წელიწადია, ყაველაშვილი საქართველოს პრეზიდენტია, მეხი კი დაგაყარე, შე პოლიტიკოსო შენა, ჰაა!...

ამიტომ ვთქვი, რომ ამ ბოლო დროს საქართველოში შექმნილი პოლიტიკურ-ინტელექტუალური ვითარება მართლაც საგანგაშოა.

**ამ წერილის სათაური შექსპირის 66-ე სონეტიდანაა აღებული – „და ბრძნად გვაჩვენებს თავს რეგვენი გამობრძმედილი“. ეს ივანე მაჩაბლის თარგმანია. რა თქმა უნდა, შემეძლო, რეზო თაბუკაშვილის თარგმანით მესარგებლა – „რადგან უვიცი და რეგვენი ბრძენობს ადვილად“. ამით ზოგიერთი ჩემი ახალგაზრდა თანამემამულისთვის (აი, იმათთვის, ევროპასთან ინტეგრაცია მაინცდამაინც შიშველი უკანალით, ბილწსიტყვაობით და ქვების სროლით რომ წარმოუდგენია) შემეხსენებინა, რომ ჩვენი სანატრელი ევროპა არ არის მაკრონი, შოლცი, კაია კალასი, ან რასა იუკნევიჩიენე; რომ ევროპა სწორედ შექსპირია, ბაირონია, გოეთეა, თომას მანია, ფიხტეა და შოპენჰაუერია, ირენ და მარია კიურია; რომ ჩვენ ევროპულ ცივილიზაციას ღირსეულად, ჩვენი დროშითა და ჰიმნით, ჩვენი მეფე თამარით, შოთა რუსთაველით, ვაჟათი, გურამიშვილით, გალაკტიონით, ილიათი, აკაკი წერეთლით, აკაკი შანიძით, ივანე ბერიტაშვილით, ნონა გაფრინდაშვილით, ნანი ბრეგვაძით... უნდა შევუერთდეთ!**



**თეიმურაზ ქორიძე**

29. 05. 2025

# ირაკლი კობახიძე:

# დიახ, ევროპა ჩვენი ისტორიული არჩევანია!



**„ფარას“ კანონი ამოქმედება და ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი, რათა სახელმწიფოს სუვერენიტეტი, ჩვენი ეროვნული ინტერესები იყოს დაცული!**

– ამის შესახებ პრემიერ-მინისტრმა **ირაკლი კობახიძემ** ჟურნალისტებს განუცხადა. მისივე თქმით, თუ ვინმეს უნდა საქართველოში გარედან აფინანსოს რევოლუციები, ეს ყველაფერი გააკეთონ გამჭვირვალედ და სწორედ ეს არის ის პრინციპი, რომელიც ასახულია კანონში „გამჭვირვალობის შესახებ“.

სამწუხაროა, რომ ევროპულმა ბიუროკრატიამ მთლიანად ხაზი გადაუსვა ისეთ პრინციპებს, როგორიც არის სამართლიანობა, სამართლებრივი სახელმწიფო, სამართლის უზენაესობა, – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი კობახიძემ ჟურნალისტის კითხვის საპასუხოდ განაცხადა, რომელიც ნიკა მელიას დაკავებაზე ბრიუსელის გამოხმაურებას ეხებოდა.

მთავრობის მეთაურის თქმით, რამდენიმე წლის წინ, როდესაც კანონი იყო საქართველოში აღსასრულებელი, მაშინ საქართველოში კანონის აღსრულებას, სამართლის უზენაესობას პირდაპირ დაუპირისპირდა როგორც ევროპული, ასევე ამერიკული ბიუროკრატია.

**„გახსოვთ მაშინდელი განცხადებები. მოგვიანებით ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ, სტრასბურგის სასამართლომ დაადასტურა, რომ სახელმწიფოს მოქმედება იყო თავიდან ბოლომდე კანონიერი და სამართლიანი, თუმცა დღემდე ბოდიში არავის მოუხდია. აქედან გამომდინარე, ჩვენ არ გვიკვირს ის განცხადებები, ანალოგიური განცხადებები, რომლებიც კეთდება დღესაც. ეს მეტყველებს ძალიან მძიმე კრიზისზე, რომელიც დღეს არის ევროპულ ბიუროკრატიაში.**

**ეს არის პოლიტიკური, დემოკრატიული და სამართლებრივი კრიზისი. მე დიდი იმედი მაქვს, რომ „დიფ სთეითის“ გავლენა ევროპულ ბიუროკრატიაზე შესუსტდება, რის გარეშეც უბრალოდ წარმოუდგენელია ამ კრიზისის დაძლევა. იმედია, რომ ევროპული ბიუროკრატია საბოლოოდ მოახერხებს კრიზისის დაძლევას. ეს მნიშვნელოვანია იმისათვის, რომ განვითარდეს ევროკავშირი, როგორც წესებზე დაფუძნებული სისტემა“,** – განაცხადა **ირაკლი კობახიძემ.**

ევროპა ჩვენი ისტორიული არჩევანია, ჩვენ ვართ ქრისტიანული ქვეყანა და ყოველთვის ვიყურებოდით ევროპისკენ, მაგრამ თუ იქ არაფერი დარჩა ქრისტიანობიდან და სამართლიანობიდან, ასეთი პროცესები ჩვენი საზოგადოების თვალში ევროპის სრულ დისკრედიტაციას გამოიწვევს!

* * *

**9 წლის განმავლობაში, კრიმინალების ხელისუფლებაში ყოფნისას, მათ მწვანე შუქი ჰქონდათ ანთებული ევროპიდან და აშშ-დან, კრიმინალურ რეჟიმს მოიხსენიებდნენ, როგორც დემოკრატიის შუქურას, ამიტომ არ გვიკვირს, რომ 2012 წლის შემდეგ ისინი მფარველობენ კრიმინალებს უკვე ოპოზიციის რიგებში,** – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა **ირაკლი კობახიძემ** ჟურნალისტებს განუცხადა.

პრემიერმა იმედი გამოთქვა, რომ აშშ-ში უფრო სწრაფად შეიცვლება სიტუაცია, ვინაიდან ახალი ადმინისტრაცია ებრძვის „დიფ სთეითს“ და აღნიშნა, რომ ევროპაში უფრო რთულად არის საქმე.

მისივე თქმით, ეს არის ძალიან სამწუხარო მოვლენა, რადგან ევროპა საქართველოს ისტორიული არჩევანია.

**ევროპა არის ჩვენი ისტორიული არჩევანი, ჩვენ ვართ ქრისტიანული ქვეყანა და აქედან გამომდინარე, ყოველთვის ვიყურებოდით ევროპისკენ, მაგრამ თუ ევროპაში არაფერი დარჩა ქრისტიანობიდან და სამართლიანობიდან, ბუნებრივია, ასეთი პროცესები გამოიწვევს საზოგადოების თვალში ევროპის სრულ დისკრედიტაციას. იმედი მაქვს, ეს პროცესი საპირისპირო მიმართულებით შემობრუნდება და ევროპა კვლავაც იქცევა სამართლიანობის და ქრისტიანობის სიმბოლოდ,“** – დასძინა **ირაკლი კობახიძემ.**

# გალიაშია ხულიგანი, ანუ დაიცავით „ოჩერედი“!



**რამდენიმე დღის წინათ ვივარაუდეთ, რომ ოქრუაშვილისა და გირჩის ბედს (თუ უბედობას?) ნიკანორ მელია გაიზიარებდა და დროებითი საპარლამენტო-საგამოძიებო კომისიის სხდომაზე გამოუცხადებლობისთვის მისჯილი გირაოს თანხის გადაუხდელობისთვის ერთი წლით ოთხ კედელში უკრავდნენ თავს.**

**პროგნოზი ერთი დღით ადრე ახდა და სწორედ ეს 24 საათი გახდა უსამშობლოთა კასტის მიერ ერთი ვაივიშის ატეხვის საფუძველი, იმას კი არად დაგიდევდნენ, რომ წინმსწრებად დაკავებას ისეთი სამართლებრივი არგუმენტი ჰქონდა, ქვას რომ გახეთქავდა.**

ჩვენში რატომღაც დამკვიდრდა აზრი, რომ პოლიციელთათვის სხვადასხვა კრიმინალური ფორმით ჯანმრთელობის დამზიანებელი თუ შეურაცხყოფის მიმყენებელი აგრესიული მომიტინგეები გმირები არიან (მაგალითად – **ლაზარე გრიგორიადისი** და **მზია ამაღლობელი**). ჰოდა, ეტყობა, მსგავსი მიზანი დაისახა ნაცბანდის ყოფილმა ატამანმაც და წესრიგის დამცველისადმი დამამცირებელი მოპყრობის გამო სავსებით კანონიერად გასკვანჩეს კიდევაც – მერე რა, რომ ამჯერად სულ სხვა სისხლის სამართლის საქმეზე დანიშნულ პროცესამდე ერთი დღით ადრე – კანონი ხომ მუდამ კანონია?

ცალკე სასაუბრო თემაა ზონდერჟურნალისტთაგან ტელეაუდიტორიისათვის აღნიშნული ფაქტის მიწოდებისას გამოვლენილი სრული უვიცობა, უწიგნურობა, თეთრის შავად გასაღების სამარცხვინო უნარი და ასე შემდეგ. სხვა მაღალ მატერიებს რომ არ შევეხოთ, იმაზე მაინც შეთანხმებულიყვნენ ეს საცოდავები, რამდენმა სპეცნაზელმა თუ კრიმინალური პოლიციის წარმომადგენელმა გაიტაცა (დიახ, თურმე გაუტაციათ) კოალიცია ცვლილებებისთვის ძლევამოსილი ლიდერთაგანი, რომელიც თვალსაჩინო სახელმწიფო მოღვაწესავით, პირადი მძღოლითა და დაცვით გადაადგილდება! დიახ, ერთი ვერსიით **სკორცენის** ფუნქცია 200-მა(!) თავზეხელაღებულმა ნიღბოსანმა შეასრულა, მეორეთი – 150-მა, მესამეთი კი – „მხოლოდ“ 100-მა და ა. შ.

სხვათა შორის, 10 მანქანისა და 1 „მარშრუტკის“ ვარიანტმაც გაიჟღერა. რაც არ უნდა აზიელებივით „სილიოტკასავით“ გამხდრები ყოფილიყვნენ „შტურმავიკები“, სამნიშნა ციფრამდე მათი რაოდენობა, დაგვეთანხმებით, ასეთი მწირი სატრანსპორტო მარაგით ვერაფრით გაქაჩავდა, მით უმეტეს – აღნაგობით გამორჩეულ ჩვენებურ „სპეცთა“ ფაქტორის გათვალისწინებით. ასე რომ, ნურც ჩვენ გვაბოლებთ, ვაიკოლეგებო და, რაც კიდევ უფრო აღმაშფოთებელია, ნურც პატივცემულ საზოგადოებას!

და კიდევ: დამდეგ კვირაში ვირის აბანოში ვიზიტის რიგი **ნიკუტა გვარამიას** უწევს, თუ, რა თქმა უნდა, არარსებულ პრინციპებს უღალატებს და გირაოს გადაიხდის, ან უკვე გაკოჭილ იდეურ კოლეგა მელიას მიბაძავს და რაიმე ხრიკის გამოყენებით ვადამდე დააჭერინებს თავს „რეჟიმს“ (გნებავთ – „ხუნტას“).

ზემოთ შეცდომა დავუშვი და სიტყვა იდეა „შევაწუხე“. მართლაც, ამ ყოველგვარი ღირსებისგან დაცლილებს გააჩნიათ კი რაიმე იდეა?!

იდეა კი არა, დაკავებიდან მეორე დღესვე გამართულ სასამართლო სხდომაზე არშემდგარმა ქართველმა **ჩე გევარამ** თავისი რევოლუციურ-ხულიგნური არსენალიდან მორიგი „მარგალიტი“ შემოგვთავაზა და, სამგლე გოჭივით ატეხილმა, მოსამართლე **შვანგირაძეს** წყლის პროცედურები „გამოუწერა“. ვერაფერს იტყვი – უზრდელობის მართლაც მრავალფეროვანი ასორტიმენტია. მერე კიდევ უკვირთ თანამედროვე ბოლშევიკებს (თუ მენშევიკებს?) და მათ უცხოელ დამღუპველებს – რას გვერჩიან ხელისუფლება და წესრიგის დამცველებიო?!

**გია პლატონიშვილი**

# გელა გელაძე: ეს არის ფიცი არა ოდენ სიტყვით, არამედ საქმით!



## პოლიციელის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება

**შინაგან საქმეთა სამინისტრომ 31 მაისს პოლიციელის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება აღნიშნა. საზეიმო ღონისძიებას, რომელიც სამინისტროს ადმინისტრაციულ შენობასთან გაიმართა, საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ ყაველაშვილი, პრემიერ-მინისტრი ირაკლი კობახიძე, პარლამენტის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილი, თბილისის მერი კახა კალაძე, მთავრობის წევრები, დეპუტატები, დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები და შინაგან საქმეთა სამინისტროს სხვადასხვა დანაყოფის თანამშრომლები დაესწრნენ.**

პოლიციელის დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე შინაგან საქმეთა მინისტრმა, საქართველოს პრეზიდენტმა, საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, პარლამენტის თავმჯდომარემ, თბილისის მერმა – პოლიციელებს სიტყვით მიმართეს, მათ პროფესიული დღე მიულოცეს და საზოგადოებრივი უსაფრთხოების, ასევე, მართლწესრიგის დაცვაში შეტანილი წვლილისთვის მადლობა გადაუხადეს.

მიხეილ ყაველაშვილმა და გელა გელაძემ შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლები სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს გამოჩენილი განსაკუთრებული თავდადებისა და მამაცობისთვის დააჯილდოვეს.

საქართველოს პრეზიდენტმა პოლიციელის დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე შინაგან საქმეთა ყოფილ მინისტრს, გენერალ-პოლკოვნიკ ვახტანგ გომელაურს სამშობლოსა და ერის წინაშე განსაკუთრებული დამსახურებისათვის საქართველოს სახელმწიფო ჯილდო – ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენი გადასცა.

ღონისძიებაზე წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს დაღუპულ პოლიციელთა ხსოვნას. შინაგან საქმეთა მინისტრმა მიმართვაში აღნიშნა, რომ დღეს განსაკუთრებული დღეა – დღე, რომელიც ეკუთვნით პოლიციელებს – იმ ადამიანებს, ვინც დაუღალავად იცავენ მშვიდობას, უსაფრთხოებასა და წესრიგს ქვეყანაში.



**„ჩემთვის დიდი პატივია, რომ პირველად მოგმართავთ, როგორც ამ უმნიშვნელოვანესი უწყების ხელმძღვანელი. მინდა გამოვხატო გულწრფელი პატივისცემა და მადლიერება თქვენდამი. თქვენ 24-საათიან რეჟიმში, ხშირად საკუთარი სიცოცხლის რისკის ფასად, დგახართ ჩვენი მოქალაქეების უსაფრთხოების სადარაჯოზე, იცავთ ქვეყნის საზღვრებს და თავდაუზოგავად ებრძვით დანაშაულს.**

**სწორედ თქვენ ქმნით უსაფრთხო მომავალს, სადაც ჩვენმა შვილებმა, მშობლებმა და ამ ქვეყნის თითოეულმა მოქალაქემ მშვიდ, სტაბილურ და განვითარებაზე ორიენტირებულ გარემოში უნდა იცხოვრონ“,** – განაცხადა შინაგან საქმეთა მინისტრმა.

შინაგან საქმეთა მინისტრის თქმით, **პოლიციელის ფორმა – ეს არ არის მხოლოდ სამოსი. ეს ნიშნავს – ატარო ღირსება. ეს არის ფიცი – არა მხოლოდ სიტყვით, არამედ საქმით. ეს არის შინაგანი მოწოდება, რომელიც მოითხოვს სიმამაცეს, თავდადებასა და მზაობას, ერთგულად ემსახურო ქვეყანას.**

# თბილისი დატვირთულობის პიკზეა,

## ყოველი მესამე მოქალაქე უკვე დედაქალაქში ცხოვრობს



**საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილი თბილისში ცხოვრობს. სწორედ ამიტომ ქალაქი ძალიან გადატვირთულია. დედაქალაქში უფრო მეტი შესაძლებლობა არსებობს როგორც დასაქმების, ისე სხვადასხვა საქმიანობის განხორციელების კუთხით, მაგრამ თბილისი ასეთ დატვირთვას ვეღარ უძლებს. ყოველდღიურად პიკის საათებში ქალაქში 700 000-მდე სატრანსპორტო საშუალება გადაადგილდება. ინტენსიური განაშენიანების გამო, სიმჭიდროვე ყველგან მაქსიმალურად გაზრდილია, როგორც ცენტრში, ისე გარეუბნებში.**

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, **საქართველოს მოსახლეობის 34.6% დედაქალაქში ცხოვრობს. უფრო კონკრეტულად კი, 2025 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, მთლიანი მოსახლეობის რაოდენობა 3 704 500-ს შეადგენდა, აქედან კი 1 282 600 ადამიანი თბილისში ცხოვრობდა.**

თბილისის შემდეგ ყველაზე მეტი მოსახლე ქვემო ქართლს, იმერეთსა და აჭარას ჰყავს.

**„საქსტატის“ მონაცემებით, 2025 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, მოსახლეობა რეგიონების მიხედვით ასეა გადანაწილებული: ქვემო ქართლი – 438 900 კაცი; იმერეთი – 433 300 კაცი; აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა – 366 700 კაცი; კახეთი – 298 500 კაცი; სამეგრელო-ზემო სვანეთი – 283 300 კაცი; შიდა ქართლი – 242 000 კაცი; სამცხე ჯავახეთი – 140 200 კაცი; გურია – 100 600 კაცი; მცხეთა-მთიანეთი – 92 700 კაცი; რაჭა-ლეჩხუმი – ქვემო სვანეთი – 25 700 კაცი.**

აღსანიშნავია ისიც, რომ **საქართველოს მოსახლეობის უდიდესი ნაწილი – 61.5% ქალაქის ტიპის დასახლებებში ცხოვრობს.**

არსებულ მოცემულობას აფასებს სტატისტიკოსი სოსო არჩვაძე, რომლის აზრითაც დედაქალაქის განტვირთვა აუცილებელია. აქცენტი რეგიონებზე უნდა გაკეთდეს.

**„თბილისი არის ქვეყნის არა მარტო ადმინისტრაციული და პოლიტიკური ცენტრი, არამედ ეკონომიკურიც. ოფიციალურად მოსახლეობის 35%-მდე ცხოვრობს თბილისში, მაგრამ თუ შევხედავთ დედაქალაქის წილს ქვეყნის ეკონომიკაში, მაშინ ეს ნახევარზე მეტი გამოვა, ხოლო თუ ავიღებთ ბიზნესის აქტიურობას, მის ბრუნვასა და პროდუქტის გამოშვებას, სადღაც 70-75%-ის ფარგლებში მერყეობს წელიწადის სხვადასხვა დროის მიხედვით. უცხოური ინვესტიციების თითქმის 80% დედაქალაქზე მოდის. აუცილებელია დედაქალაქის განტვირთვა, ქალაქი იხრჩობა ზედმეტი შენობებით და ტრანსპორტით. შეუძლებელია ამდენი მშენებლობა, ამას თან სდევს კერძო ტრანსპორტის სიჭარბეც“,** – განაცხადა **სოსო არჩვაძემ.**

დედაქალაქი მართლაც გადატვირთულია, რაშიც მთავარი პრობლემა ინტენსიური მშენებლობებია. ამიტომ დეველოპერებიც კი მიიჩნევენ, რომ პარალელურად თბილისთან ახლოს მდებარე ქალაქების განაშენიანება უნდა დაიწყოს.

**„ჩემი მოსაზრებაა, რომ ქალაქი სიგრძეში უფრო უნდა გაიზარდოს, ვიდრე სიმაღლეში. ამიტომაც, მისი განვითარებისთვის შემოგარენის ათვისება აქტუალურია. მაგალითად, ჯიქიას დასახლების განვითარებისთვის პროექტი „შენი სახლი ჯიქიაზე“, 12 წლის წინ დავიწყეთ. მაშინ ეს ტერიტორია სრულიად აუთვისებელი იყო. ბოლო წლებში კი ყველაზე სწრაფად მზარდი და მოთხოვნადი უბანი გახდა. ეს გამოიწვია იმან, რომ დეველოპერი დაინტერესდა და აღმოაჩინა, რომ საკმაოდ კარგი და სტრატეგიული ადგილი იყო ქალაქისთვის. ამასობაში იქვე გაიხსნა ახალი მეტროსადგური. ქალაქის შემოგარენი რომ განვითარდეს, მარტო დეველოპერების მზადყოფნა არ კმარა. შესაბამისი ინფრასტრუქტურა, კომუნიკაციები თანხვედრაში უნდა მოვიდეს, რომ ქალაქი გაფართოვდეს“,** – განაცხდა სამშენებლო კომპანია „არსის“ დირექტორმა **ბესო ორთოიძემ.**

**თბილისის პრობლემა ისიცაა, რომ ქალაქი სიგანეში ვერ იზრდება და მხოლოდ სიგრძეში ვითარდება. მალე ეს რესურსიც ამოიწურება, რადგან იგი უკვე მიუახლოვდა სხვა ქალაქებსა და მუნიციპალიტეტებს.**

**ბექა დანელია**



ბრიტანული გაზეთის **„დეილი ტელეგრაფის“ (The Daily Telegraph)** 31 მაისის ნომერში დაბეჭდილია სტატია სათაურით **„ვლადიმერ პუტინის სიყვარული იოსებ სტალინის მიმართ ყველასათვის საშიში უნდა იყოს“** (ავტორი – **ივანა სტრედნერი**). პუბლიკაციაში განხილულია რუსეთის პრეზიდენტის პოზიტიური დამოკიდებულება საბჭოთა დიქტატორის მიმართ, მისი განდიდებისაკენ მიმართული კრემლის პროპაგანდა და ამ ფონზე გაკეთებულია დასკვნა, თუ რა უნდა მოიმოქმედოს დიდმა ბრიტანეთმა კრემლის აგიტაციის განეიტრალებისათვის: **„სტალინი სუსტ პიროვნებად უნდა წარმოაჩინოს“.**

**გთავაზობთ სტატიას მცირე შემოკლებით:**


Ivana Stradner

Putin's love of Stalin should terrify us all

Britain must counteract Kremlin propaganda by portraying the Russian president as a weak leader

Ivana Stradner

Related Topics
Vladimir Putin, Russia, Explained
Ukraine war, Russia-Ukraine war

29 May 2025 9:22am BST

192

Gift this article free

# ბრიტანეთს სტალინი ისევ ყელში გაეჩხირა!!!



**როცა 2017 წელს დიდ ბრიტანეთში შოტლანდიელმა რეჟისორმა არმანდო იანუჩიმ პოლიტიკურ-სატირული ფილმი „სტალინის სიკვდილი“ გადაიღო, რუსეთმა დიდი ბრიტანეთის მთავრობა სინამდვილის დამახინჯებასა და ფსიქოლოგიური ომის წარმოებაში დაადანაშაულა – თითქოსდა ლონდონი ამ ფილმის ჩვენებით რუსეთის (სსრ კავშირის) ისტორიის გაყალბებასა და სტალინის პიროვნების შეურაცხყოფას ცდილობსო – და რუსეთის კინოთეატრების ეკრანებზე მისი გაშვება აკრძალა. ბედის ირონიით, ახლა თვითონ კრემლი ეწევა ფსიქოლოგიურ კამპანიას საკუთარი მოქალაქეების მიმართ და ამისათვის იოსებ სტალინის მემკვიდრეობას იყენებს როგორც თვითონ სურს, ისეთნაირად ცდილობს როგორც საბჭოთა ბელადის მოღვაწეობის, ასევე მისი რეპრესიული საქმიანობის წარმოჩენას.**

რუსეთის მთავრობის მიერ უკვე დიდი ხანია დასრულებულია წინა პერიოდში დაწყებული საბჭოთა რეპრესიული ორგანოების „გათეთრების“ პროცესი – კრემლმა ჯერ კიდევ 2015 წელს შეცვალა „გულაგის“ უკანასკნელი მემორიალური კომპლექსის „პერმი-36“-ის სტატუსი და მისი წვლილი მეორე მსოფლიო ომში გამარჯვების საქმეში „უმნიშვნელოვანესად“ შეაფასა – თურმე პატიმართა ბანაკის „პერმი-36“-ის პერსონალი, საბჭოთა გუშაგების ჩათვლით, რეკორდულად მუშაობდა ხე-ტყის დამზადების, სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების დარგში და მესამე რაიხზე გამარჯვებას აახლოვებდა. დღეს „პერმი-36“ სახელმწიფო მუზეუმად არის გადაქცეული და დამთვალიერებლებს მის გმირულ ისტორიას აცნობენ.

**2020 წლიდან მოსკოვის სამართლადამცავმა ორგანოებმა დაბრკოლების შექმნა დაიწყეს „სტალინური ტერორის“ მსხვერპლთა ხსოვნისადმი მიძღვნილი დემონსტრაციების გამართვის წინააღმდეგ, ამჟამად კი მათი ჩატარება აკრძალულია.**

**2021 წელს რუსეთის მთავრობამ დახურა ცნობილი ორგანიზაცია „მემორიალი“, რომელიც დოკუმენტურად აღრიცხავდა ადამიანის უფლებების დარღვევას (რეპრესიებს) საბჭოთა კავშირში, სტალინის მმართველობის პერიოდის ჩათვლით. კრემლის მტკიცებით, „მემორიალი“ ამახინჯებს და აყალბებს ჩვენს ისტორიას... ამით გვაიძულებს, რომ ჩვენი წინაპრების გმირული საქმეების შეურაცხყოფისათვის ზომები მივიღოთ“.**

**2023 წელს ვლადიმერ პუტინმა შემოიღო ისტორიის ახალი სავალდებულო სასწავლო სახელმძღვანელო უფროსკლასელთათვის, რომელშიც ფაქტიურად იოსებ სტალინს მოხსნილი აქვს ბრალდება რეპრესიებისათვის და პოზიტიურად არის შეფასებული საბჭოთა დიქტატორის მოღვაწეობა. კრემლი სტალინურად მუშაობს: როგორც ბელადი ამბობდა, „ცოდნა-განათლება ისეთი იარაღია, რომლის ეფექტურობა მფლობელზეა დამოკიდებული - როგორც მას სურს, ისე გამოიყენებს“.**

**2024 წელს რუსეთის ხელისუფლებამ იმ სიმბოლურ-გამამართლებელი განაჩენების გაუქმება დაიწყო, რომლებიც მიხეილ გორბაჩევის დროს იქნა გამოტანილი უსამართლოდ რეპრესირებული მილიონობით საბჭოთა მოქალაქის მიმართ, რომლებსაც სტალინური რეჟიმი აწამებდა და კლავდა.**

ამგვარი ნაბიჯების ერთობლიობა აჩვენებს კრემლის რეჟიმის სწრაფვას – რეაბილიტაცია მოახდინოს იმ ავტოკრატი და ტოტალიტარი დიქტატორისა, რომელიც დაკავებული იყო თავისი მოქალაქეების დახვრეტებით, გადასახლებებით და შიმშილის წინასწარგანზრახული მოწყობით (მხედველობაშია უკრაინის „გოლოდომორი“) და რომლის წითელმა არმიამ მეორე მსოფლიო ომის დროს უამრავი მხეცობა ჩაიდინა ოკუპირებულ ქვეყნებში. ახლა კი კრემლი ცდილობს სტალინი ეროვნულ გმირად აღიაროს.

ამგვარ კურსს ვლადიმერ პუტინისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს – მას იოსებ სტალინის პოპულარიზებით და მისი როლის პოზიტიურად შეფასებით საკუთარი თავისთვისაც სარგებელი მოაქვს: ამართლებს თავის იმპერიულ ამბიციებს უკრაინის მიმართ.

**ორ ლიდერს ბევრი რამ აქვთ საერთო: ორივეს საშინელი სამხედრო დანაშაულებები აქვთ ჩადენილი, ორივე უკრაინის დიდების მოწინააღმდეგეა (სტალინი წარსულში, პუტინი კი დღეს), სტალინიც დაუნდობლად ებრძოდა შინაურ ოპოზიციას და პუტინიც ასევე აკეთებს, სტალინიც აბსოლუტურად აკონტროლებდა იმდროინდელ მასმედიას და პუტინიც მთლიანად ფლობს რუსეთის საინფორმაციო სივრცეს, სტალინიც მანიპულირებდა ადამიანებით და პუტინიც მის მსგავსად იქცევა.**

ეს მსგავსება შემთხვევითი არ არის. ვლადიმერ პუტინმა თავისი მმართველობის სისტემა იოსებ სტალინის მმართველობის შესაბამისად შექმნა და ამიტომ მისთვის უკიდურესად მნიშვნელოვანია, რომ სტალინის განდიდებით მან თავისი მმართველობა განამტკიცოს, საზოგადოებრივი აზრი არსებული სისტემის მიმართ კეთილად განაწყოს. როგორც ჩანს, კრემლის აგიტაცია შედეგს იძლევა: რუსეთში 2021 წელს მოსახლეობის 70%-ის მიერ იოსებ სტალინი „ყველა დროისა და ეპოქის უდიდეს და გამოჩენილ ფიგურად“ იქნა შერაცხილი.

**რა უნდა გააკეთოს დიდმა ბრიტანეთმა ვლადიმერ პუტინის რეჟისურაზე ეფექტური რეაგირებისათვის? ბრიტანეთი წინ უნდა აღუდგეს რუსული საზოგადოებრივი აზრის რეალიებს, მისი შეცვლის მიზნით. დღეს რუსებს დასავლური დემოკრატიის სიკეთის შესახებ რამდენიც არ უნდა ველაპარაკო, მათ პოზიციას მაინც ვერ შევცვლით. ამის ნაცვლად ლონდონმა რუსულ ნაციონალიზმს უნდა დაარტყას, რუსი ლიდერები და ბელადები სუსტებად უნდა წარმოაჩინოს, რაც თავის მხრივ, რუსეთის დიდებას დაამსხვრევს უკრაინასთან ომში.**

სანამ კრემლი ამასწინანდელი გამარჯვების დღის ზეიმის სხივებში „ბანაობს“, დიდმა ბრიტანეთმა უნდა განაახლოს და ააღორძინოს სატირულ-იუმორისტული დამოკიდებულება სტალინის მიმართ, გაიხსენოს ძველი ხუმრობები (და ანეკდოტები) სტალინის შესახებ, დაამციროს მისი როლი, რათა ამით რუსეთის ხელისუფლებას და მის ისტორიულ ლეგიტიმაციას ჩრდილი მიადგეს, ანუ გაანეიტრალოს ის, რასაც პუტინი ცდილობს.

**გარდა ამისა, თანამედროვე ეფექტური საინფორმაციო შეტევებით რუსები უნდა დავარწმუნოთ, რომ მათი ქვეყანა საერთაშორისო არენაზე გარიყული და სახელგატეხილია, პრესტიჟდაკარგული. დიდმა ბრიტანეთმა რუსებს უნდა ჩაუნერგოს აზრი, რომ ვლადიმერ პუტინი რუსეთს „ძველ დიდებას კი არ უბრუნებს“, არამედ პირიქით – ის რუსეთს ასუსტებს.**



მოამზადა
**სიმონ კილაძემ**



## საქართველოში მოგზაურობა ევროპის ბევრ ქვეყანაში მოგზაურობაზე უსაფრთხოა!!!

**აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ გამოქვეყნებული ინფორმაციის მიხედვით, საქართველო იმ ქვეყნების რიგებშია, სადაც მოგზაურობა უსაფრთხოა, ხოლო რისკები ნაკლებია.**

სახელმწიფო დეპარტამენტის რეკომენდაციებზე დაყრდნობით, სამოგზაურო რჩევები გამოაქვეყნა ასევე, ორგანიზაციამ Visaguideworld. ორგანიზაციის მიერ გამოქვეყნებულ რუკაზე საქართველო მწვანედ არის მონიშნული. აქვე განმარტებულია, რომ უსაფრთხოების დონეები თითოეული ქვეყნისთვის, შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის სამოგზაურო რჩევების საფუძველზეა მოცემული. **რუკის მიხედვით, საქართველო ისეთ ევროპულ ქვეყნებს უსწრებს, როგორებიცაა საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი, ესპანეთი, იტალია.**

## აშშ-დან საქართველოს მოქალაქეთა დიდი ჯგუფის დეპორტაცია განხორციელდა!

**ჯანდაცვის მინისტრის მოადგილე გიორგი ცაგარეიშვილი თბილისის საერთაშორისო აეროპორტში ამერიკიდან დეპორტირებულ საქართველოს მოქალაქეებს დახვდა.**

მინისტრის მოადგილემ კიდევ ერთხელ დაადასტურა სახელმწიფოს მზადყოფნა, დახმარება გაუწიოს სამშობლოში დაბრუნებულ მოქალაქეებს.

**გიორგი ცაგარეიშვილმა დეპორტირებულ საქართველოს მოქალაქეებს დეტალური ინფორმაცია მიაწოდა სახელმწიფო პროგრამებისა და მხარდაჭერის სერვისების შესახებ, რომლებიც რეინტეგრაციის პროცესში მათ საზოგადოებაში ადაპტაციას შეუწყობს ხელს.**

მისი განცხადებით, მნიშვნელოვანია, რომ დეპორტირებულ საქართველოს მოქალაქეებს ჰქონდეთ მხარდაჭერა, რათა ღირსეულად გააგრძელონ ცხოვრება სამშობლოში.





გაარკვევს მკითხველს მოვლენათა მსვლელობაში (დოკუმენტები შესულია კრებულში „სკპ(ბ) ცკ პოლიტბიურო და სსრკ მინისტრთა საბჭო. 1945-1953“, მოსკოვი, 2002.).

***კპ(ბ) ცკ-ის ტელეგრამა:***
***„საქართველოს კპ(ბ) ცკ-ის პირველ მდივანს ამხ. მგელაძეს და საქართველოს კპ(ბ) ცკ-ის ბიუროს სხვა წევრებს***

*სკპ(ბ) ცკ-მა მიიღო და განიხილა ამხანაგ რუხაძის „ცნობა“ ამხ. მგელაძის წინააღმდეგ ბარამიას ჯგუფის განცხადებებზე, აგრეთვე, მისი შეტყობინება „აფხაზეთში არასასიკეთო მდგომარეობის შესახებ“, ბერძნების გადასახლებასთან და თითქოს ამხ. მგელაძის მიერ დაშვებულ დარღვევებთან დაკავშირებით.*

*კპ(ბ) ცკ მიიჩნევს, რომ ამხ. რუხაძე დაადგა არასწორ და არაპარტიულ გზას, დაპატიმრებულები მოწმეებად გაიყვანა საქართველოს პარტიული ხელმძღვანელების წინააღმდეგ, განსაკუთრებით ამხ. მგელაძის წინააღმდეგ.*

*სკპ(ბ) ცკ-ს არ ეეჭვება: ამხ. რუხაძის გზას გოგლიძის (თავმჯდომარე), საქართველოს კპ(ბ) ცკ-ის მდივნის ა. ი. მგელაძისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ვ. ნ. კეცხოველის შემადგენლობით.*

*საქმეების ჩაბარება და მიღება დამთავრდეს ორი დეკადის განმავლობაში მუშაობის დაწყების დღიდან“.*

ამრიგად, ნ. რუხაძეს შავი სამუშაო შეასრულებინეს და მოისროლეს. მისი ადგილი დაიკავა გენერალ-მაიორმა ალექსანდრე კოჭლავაშვილმა (1901-1977), რომელიც 9 თვე (1953 წლის 16 მარტამდე) ხელმძღვანელობდა ამ უწყებას.

მაგრამ ნ. რუხაძის ფათერაკები მოხსნით არ დამთავრებულა. მაშინდელი ტრადიციის შესაბამისად, შეცდომა მხოლოდ ციხით უნდა გამოსწორებულიყო და მისმა გუშინდელმა მეგობრებმა და თანამოაზრეებმა დამხობილი მინისტრის დაპატიმრება გადაწყვიტეს. მაგრამ მოსკოვმა ეს წინადადება ნაადრევად მიიჩნია. რუხაძემ დრო იხელთა და აგროვებდა იქ ნაირნაირ ტანსაცმელს, აგრეთვე მანქანებს, ძვირაფასეულობებს და, როგორც ამბობდნენ, ვაგონებით ჩამოჰქონდა თბილისში დიდმნიშვნელოვანი სახელმწიფო ტვირთის სახით. მე ისევე, როგორც ჩემმა ბევრმა მეზობელმა, ვიცი, რომ მის ბინაში თვეობით მუშაობდნენ, რათა დაეყენებინათ და დაემონტაჟებინათ რაღაც განსაკუთრებული, ბერლინიდან სპეციალურად ჩამოტანილი სამზარეულო და სააბაზანო მოწყობილობაო.

შემდგომში, რუხაძის საქმის გამოძიებისას, გაირკვა, რომ მასზე უამრავი „კომპრომატი“ არსებობდა, მაგალითად, ასეთი: რუხაძის ბიძაშვილი, მწერალი შალვა სოსელია (სოსლანი), რომელიც ომამდე მოსკოვში, სტალინის სამდივნოში მუშობდა, ტყვედ ჩავარდა, სდ-მ გადაიბირა, ომის შემდეგ კი სსრ კავშირში დაბრუნებაზე უარი განაცხადა...

საქ. კპ(ბ) ცკ-ის X პლენუმზე, რომელიც 1952 წლის 28 ივნისს გაიმართა, რუხაძე მთავარ ბრალდებულად იქცა: „მისი საქმიანობა მიმართული იყო სკპ(ბ) ცკ-ის აზრის წინააღმდეგ, ამხანაგ ბერიას წინააღმდეგ, რომელიც არჩევდა საქართველოს კომპარტიის ხელმძღვანელ კადრებს“.

ალეკო ასლანიშვილი

# მეგრელთა საქმე

## გენერლის კრახი

**ცოტა ხნის შემდეგ ერთობ მნიშვნელოვანი ამბავი მოხდა. 1952 წლის ივნისის პირველ რიცხვებში ნიკოლოზ რუხაძე სტალინის განკარგულებით გაათავისუფლეს საქართველოს სახელმწიფო უშიშროების მინისტრის თანამდებობიდან.**

გენერალმა რუხაძემ იმედი ვერ გაამართლა. იგი კარგა ხანია ხვდებოდა, რომ მის თავზე საავდრო ღრუბლები გროვდებოდა, გადაწყვიტა „ვა-ბანკზე“ წასულიყო ბელადის თვალში შერყეული ავტორიტეტის აღსადგენად და კრემლში გაგზავნა... დასმენა, თვით საქ. კპ(ბ) ცკ-ის პირველ მდივანზე, რომელთანაც ბოლო ხანს ერთობ დაძაბული ურთიერთობა ჰქონდა.

აკაკი მგელაძეს, რომელმაც თავისი გაინაღდა და რესპუბლიკის თავკაცი გახდა, სულაც არ აძლევდა ხელს გვერდით ასეთი საშიში კაცის ყოლა, რომელსაც დამოუკიდებელი და პირდაპირი კავშირი ჰქონდა ი. სტალინთან და პატივმოყვარულ ოცნებებში თავს უფრო მაღალ სავარძელში ხედავდა, ვიდრე რესპუბლიკის უშიშროების მინისტრის სკამი იყო. ნიკოლოზ რუხაძე აკაკი მგელაძეს თავის მიერ გაწალდულ გზაზე მზამზარეულად მოსულად მიიჩნევდა და იმაზე ოცნებობდა, როდის წაიმტვრევდა ის კისერს.

მაგრამ ვერ გათვალა და ამან დაღუპა. ვერ მიხვდა, რომ სტალინი ამ ორს შორის არჩევანს ა. მგელაძეზე შეაჩერებდა, თუნდაც იმიტომ, რომ იგი ბევრად უფრო უშეცდომოდ მოქმედებდა, ვიდრე „ძვლებისმტვრეველი“ გენერალ-ლეიტენანტი.

1952 წლის 1 ივნისს კრემლში მგელაძის შესახებ გაგზავნილ ცნობაში რუხაძე ბელადს ატყობინებდა, პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მდივნად ყოფნისას მგელაძე ეროვნული დისკრიმინაციის პოლიტიკას ატარებდა რუსი და სომეხი ხალხების წინააღმდეგ, აფხაზური და რუსული დასახელებები ქართულით შეცვალაო. იქვე ანტიპარტიულ საქმეებში არა მხოლოდ მგელაძეს ადანაშაულებდა, არამედ საქართველოს თითქმის მთელ ხელმძღვანელობას, რომელიც რესპუბლიკის კომპარტიის პირველ მდივნად მგელაძის დანიშვნის შემდეგ მთლიანად სტალინის კადრებით იყო დაკომპლექტებული. ამასთან, ნ. რუხაძის ინფორმაცია ოდენ „მეგრული ჯგუფის“ დაპატიმრებულ წევრთა ჩვენებებს ეფუძნებოდა, რაც, თავის მხრივ, მხოლოდ ზრდიდა ეჭვს ამ დოკუმენტის მიუკერძოებულობის შესახებ.

ნ. რუხაძის მიერ გაგზავნილ ცნობას (დასმენას) მოსკოვიდან ზედიზედ 3 დოკუმენტი მოჰყვა, რომლებიც უკომენტაროდაც მშვენივრად

*რომ დავადგეთ და დაპატიმრებულები მოწმეებად მოვიხმოთ ამხ. რუხაძის წინააღმდეგ, ბარამიას ჯგუფის დაპატიმრებული წევრები მასზე ბევრად მეტ და შეუდარებლად უფრო მეტ ცუდს იტყოდნენ. ფაქტია, რომ ამ რვა თვის წინათ ბარამიას მეთაურობით სწორედ ისინი მოითხოვდნენ ამხ. რუხაძის მოხსნას მინისტრის პოსტიდან და მას ადანაშაულებდნენ ათასგვარ სისხლის სამართლის საქმეში.*

*ამას გარდა, უნდა აღინიშნოს, რომ ამხ. რუხაძეს უფლება არა აქვს გვერდი აუაროს საქართველოს კპ(ბ) ცკ-ს და საქართველოს მთავრობას, რომელთა დაუკითხავადაც მათს წინააღმდეგ მასალები გამოგზავნა კპ(ბ) ცკ-ში, რამდენადაც საქართველოს სახუშიშროების სამინიტრო, მორჩილებს არა მხოლოდ ცენტრს, არამედ, საქართველოს მთავრობას და საქართველოს კპ(ბ) ცკ-საც. კპ(ბ) ცკ ამხ. რუხაძეს შენიშვნას აძლევს დაშვებული შეცდომისთვის, რომელსაც შეუძლია ზიანი მოუტანოს პარტიასა და სახელმწიფოს და აფრთხილებს მას, მომავალში აღარ დაუშვას მსგავსი გადაცდომა.*

*სკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტი საქ. კპ(ბ) ცკ-ის ბიუროს ურჩევს გაერკვეს ხსენებულ მასალებში და სკპ(ბ) ცკ-ს აცნობოს თავისი გადაწყვეტილება.*

***სკპ(ბ) ცკ***
***1952 წლის 4 ივნისი“.***

ეს ნიშანი იყო.

მწვანე შუქი აინთო: აკაკი მგელაძეს ნიკოლოზ რუხაძის თავიდან მოშორების ნება მიეცა. მანაც მყისიერად ისარგებლა და უშიშროების მინისტრი თანამდებობიდან მოხსნა.

ეს გადაწყვეტილება უმალ აცნობეს კრემლს. პასუხად იქიდან მითითებები მოვიდა.

***სკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის 1952 წლის 9 ივნისის დადგენილება***
***„საქართველოს სახელმწიფო უშიშროების მინისტრის შესახებ“***

*1. დამტკიცდეს საქართველოს კპ(ბ) ცკ ბიუროს გადაწყვეტილება საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების მინისტრის თანამდებობიდან ამხ. რუხაძის მოხსნის შესახებ, მისი სსრკ სახელმწიფო უშიშროების მინისტრის განკარგულებაში დატოვებით.*

*2. მიღებულ იქნეს საქართველოს კპ(ბ) ცკ-ის ბიუროს წინადადება საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების მინისტრად ამხ. ა. ი. კოჭლავაშვილის დანიშვნის შესახებ.*

*3. დაევალოს ამხ. რუხაძეს საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს საქმეების ჩაბარება, ხოლო ამხ. კოჭლავაშვილს – საქმეების მიღება.*

*საქმეების მიღებასა და ჩაბარებაზე კონტროლი დაევალოს კომისიას ამხ. ს. ა.*



**აკაკი მგელაძე**
**საქართველოს კომპარტიის ცკ-ის პირველი მდივანი (1952 წ.–1953 წ.).**



**ნიკოლოზ რუხაძე**
**საქართველოს სსრ უშიშროების მინისტრი.**

*ი. სტალინის 1952 წლის*
*25 ივნისის ტელეგრამა*
***„ამხ. ამხ. გოგლიძეს,***
***მგელაძეს, კეცხოველს***

საკითხს რუხაძის დაპატიმრების შესახებ ნაადრევად ვთვლით. გირჩევთ საქმეების ჩაბარება-მიღება მიიყვანოთ ბოლომდე, რის შემდეგაც რუხაძე გამოგზავნოთ მოსკოვში, სადაც გადაწყდება მისი ბედის საკითხი“.

რუხაძის დამხობამ დაპატიმრებულთ იმედის ფრთები შეასხა. თითქმის ყველა მათგანმა დაწერა საჩივარი ყოფილ სახელმწიფო უშიშროების მინისტრზე, მისი უდანაშაულო მხვერპლები ვართო. გაშუქდა რუხაძის ბიოგრაფიის ყველა ჩრდილოვანი მხარე, მისი კავშირი დაპატიმრებულ სსრკ სახუშიშროების მინისტრ ვიქტორ აბაკუმოვთან, მისი „უღირსი ქცევა 1945 წელს ბერლინში სამსახურებრივი მივლინებით ყოფნისას“.

სსრკ უშიშროების მინისტრ ს. იგნატიევისადმი 1952 წლის 6 აგვისტოს განცხადებაში მ. ბარამია აღნიშნავს: **„ბევრი ლაპარაკი იყო რუხაძისა და აბაკუმოვის ახლო ურთიერთობებზე ჯერ კიდევ იმ პერიოდიდან, როდესაც ორივენი კონტრდაზვერვის ხაზით მუშაობდნენ და, მით უმეტეს, როდესაც მინისტრები გახდნენ. როგორც ამბობდნენ, რუხაძე სისტემატურად უგზავნიდა საჩუქრებს აბაკუმოვს თბილისიდან, აგრეთვე ძვირფას საჩუქრებს ბერლინიდან, სადაც ჩავიდა“.**

შემდეგ მ. ბარამია უფრო აკონკრეტებს: ბერლინში მივლინებისას, მგონი 1945 წელს,

საერთოდ კი „რუხაძის ბედის საკითხი“ ძალზე მარტივად გადაწყდა. იგი მოსკოვში გამოიძახეს, სადაც დააპატიმრეს და სსრკ სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს ლეფორტოვოს საპყრობილეში ("შინაგან ციხეში") უკრეს თავი (სხვათა შორის, დაპატიმრების ორდერს მისი მეგობარი მიხეილ რიუმინი აწერდა ხელს). იქ სამი წელიწადი იჯდა, 1955 წლის სექტემბერში კი თბილისში გაასამართლეს და დახვრეტა მიუსაჯეს „ბერიას თანამზრახველთა ჯგუფთან“ – ავქსენტი რაფავასთან, შალვა წერეთელთან და სხვებთან ერთად (ესეც ბედის ირონია იყო).

მაგრამ კედელთან არ მიუყენებიათ იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ როცა განაჩენის გამოტანის შემდეგ თბილისიდან მოსკოვში გადაჰყავდათ, გულის შეტევით გარდაიცვალა. სხვათა შორის, სასამართლოზე თავი დამნაშავედ ცნო. სამაგიეროდ, კატეგორიულად უარყოფდა პატიმართა ცემას რკინის ნაჭრით, ამტკიცებდა, რომ საცემად მხოლოდ სველ თოკს იყენებდა...

გენერალ რუხაძის კრახი იმან გამოიწვია, რომ მან ვერ შეძლო მოეწყო პოლიტიკური პროცესი, სადაც საქართველოს კომპარტიის ძველ ცენტრალურ კომიტეტს დაადანაშაულებდნენ საქართველოში ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური კონტრრევოლუციური ცენტრის შექმნაში, მისი რეჟისორების ჩანაფიქრით, საქმე ისე უნდა წარმართულიყო, თითქოს ეს „ცენტრი“ შეეკრა ემიგრაციაში მყოფ ქართველ ნაციონალისტებს, რომლებსაც სურდათ, საქართველო მოეწყვიტათ საბჭოთა კავშირიდან და თურქეთისთვის შეეერთებინათ.

**(გაგრძელება იქნება)**

**გაგრძელება, დასაწყისი იხილეთ**
**„სრ“ №47-48, 50-51, 54-55, 56, 57, 60-68, 71-72,74,75**

**ჰოდა, გასულ შაბათს ილია ჭავჭავაძის საგურამოს მუზეუმში ვიყავი. ანდრია გედუაძემ მიმიწვია – მუზეუმის დირექტორმა, სკოლის მაღალი კლასების მოსწავლეები გვეყოლება და იქნებ საჯარო ლექცია წაიკითხო ილიას შესახებო. თემა თავად შეარჩიეო. ილიას სახლ-მუზეუმში კიდევ ერთხელ წასვლაზე უარს როგორ ვიტყოდი და არც ლექციის თემაზე მიფიქრია ბევრი: მამათა და შვილთა ბრძოლა, ერთი მხრივ, ხომ ძალზე მნიშვნელოვანია და დღეს ძალზე აქტუალური, მეორე მხრივ კი, ჩემთვის ყოველ შემთხვევაში, ძალზე საინტერესო და არც ისეთი ერთმნიშვნელოვანი, როგორადაც მე მასწავლეს და როგორადაც ალბათ დღეს ასწავლიან.**



# ჰოდა, მამათა და შვილთა ბრძოლისათვის

ჰოდა, თუ კარგად დავუკვირდებით, ეს მთლად მამათა და შვილთა ბრძოლა არ ყოფილა! ეს უფრო ლიტერატურული, იდეოლოგიური თუ მსოფლმხედველობრივი კამათი იყო, რომელიც მერე და მერე ქართული ნიჰილისტებისა და ქართველი ოპტიმისტების დაპირისპირებაში გადაიზარდა. არავის ამ ბრძოლის მონაწილეთაგან, არც თავად ბრძოლის პერიოდში და არც მერე, იმ ამბებისთვის „მამათა და შვილთა ბრძოლა“ არ დაურქმევია. ბრძოლას რაც შეეხება, თავად მოწინააღმდეგე ბანაკებში იყო უფრო მეტი ბრძოლა, რასაც ილია ჭავჭავაძისა და ნიკო ნიკოლაძის ის ცნობილი დუელი მოჰყვა, ერთი მხრივ, და კიდევ უფრო ცნობილი ის ბანკოვიადა, მეორე მხრივ. „მამათა და შვილთა ბრძოლად“ იმ ამბების სახელდება, ეტყობა გვიან, უკვე მეოცე საუკუნეში დასჭირდათ, როცა თავად ილია გახდა მამების თაობისა, – როცა ჩათვალეს, რომ ახლების თაობა მუდამ მართალია და როცა ამგვარი ფორმულირებითაც მოინდომეს ილიას მკვლელობის გამართლება.



*   *   *

**ჰოდა,** ბევრს ლაპარაკობენ ილიას იმ განმაქიქებელი „გამოცანების“ შესახებ, მაგრამ თუ კარგად არ ჩაუკვირდები, ვერ შეამჩნევ და დალაგებით ვერც სადმე ამოიკითხავ, რომ ილია ყველას ერთ ქვაბში არ ხარშავს და იმ „მამების“ თაობაში, რომელთაც მკაცრად აკრიტიკებს, გარკვეულ დიფერენციაციასაც ახდენს.



*   *   *

**ჰოდა,** სანამ დიფერენციაციაზე ვიტყვი, მანამდე მამებისა და შვილების მამობა და შვილობა გავარკვიოთ: თვალები შუბლზე ამივიდა, როცა მრავალი წლის წინათ მამათა და შვილთა დაბადების თარიღები ჩამოვწერე და აღმოვაჩინე, რომ ილია იმ თავის „გამოცანებში“ ეგრეთწოდებულ „მამების“ გვერდით სასტიკად აკრიტიკებს თავის თანაგიმნაზიელს ბესარიონ ღოღობერიძეს, რომელიც მასზე სულ რაღაც ხუთი წლით არის უფროსი. და რაც მთავარია, უფროსია „მამათა“ („დედათა“?) თაობის ერთ-ერთ ლიდერზე ბარბარე ჯორჯაძეზე, რომელმაც, როგორც ითვლება, პირველმა ამოიღო ხმა ილიას იმ ცნობილი წერილის წინააღმდეგ, და რომელიც, თავის მხრივ, ილიაზე სულ სამი წლით ყოფილა უფროსი – 1861 წელს ილია 24 წლისაა, ბარბარე – 27-ისა.

*   *   *

**ჰოდა,** ისიც ვთქვათ, ილიას „გამოცანებში“ არაფერი უთქვამს და არ გაუკრიტიკებია ბარბარე ჯორჯაძე – მისი საყვარელი პოეტის რაფიელ ერისთავის და. მეტიც, ჯორჯაძის რამდენიმე ლიტერატურული თუ სტილისტური შენიშვნა ილიამ მიიღო, გაითვალისწინა და გაასწორა კიდეც. იცოდა ახალგაზრდა ილიამ სხვისი აზრის პატივისცემა და გათვალისწინება.

ჰოდა, მარტო ეს კი არა, – იმ თავის „გამოცანებში“, რომელიც, როგორც გვასწავლეს, ილია გმობს თუ ამუნათებს „მამებს“, და რომელიც თითქმის ყველა შემთხვევაში ერთი და იმავე სიტყვებით მთავრდება – „ერიც და ქვეყანაც ამას ფეხებზე ჰკიდიაო“, ავტორი გრიგოლ ორბელიანზე, რომელიც მაშინ სულ რაღაც 57 წლისა იყო, თქვენ წარმოიდგინეთ, ცუდს არაფერს ამბობს: „მოხუცია იგი ჯმუხი, /პირად ბადრი, ტანდაბალი, /საქმით წმინდა, გულმხურვალე, /სიტყვატკბილი, ჭკვამაღალი. /ძველთაგანა ეგღა დარჩა /გრძნობით სავსე გონიერი, /მაგრამ გაუბედავია, /თუმცა უყვარს თავის ერი. /ის ძველის და ახლის შუა /შემაერთავი ხიდია, /მაგრამ ამ კარგსაც ქვეყანა /ზოგჯერ ფეხებზეც ჰკიდია.

„გულმხურვალეო. სიტყვატკბილიო. საქმით წმინდაო. ჭკვამაღალიო. ძველთაგან ეგღა დაგვრჩაო. გრძნობით სავსეო. გონიერიო. თავის ერის მოყვარულიო. ძველისა და ახლის შუა შემაერთავი ხიდიო. და ბოლოს, ფრთხილად, არაკატეგორიულად – ამასაც კი, ამ კარგსაც კი, ქვეყანა ზოგჯერ ფეხებზე ჰკიდიაო...

*   *   *

**ჰოდა,** ამ დროს ილიამ კარგად იცის და თავის „გამოცანებშიც“ ამასაც ითვალისწინებს, რომ გრიგოლ ორბელიანს – ინფანტერიის გენერალს, გარდა პოეტობისა და ლიტერატურისა სხვა ვალდებულებებიც აწევს მხრებზე, ისიც იცის, რომ ერთი ხანობა გრიგოლ ორბელიანი საქართველოს მთავარმართებლის ფუნქციასაც ასრულებდა და ქვეყნის მსახურება რამდენადმე სხვაგვარად ჰქონდა წარმოდგენილი სწორედ თავისი გამოცდილების გათვალისწინებით, ვიდრე ორიოდე წლის წინათ პეტერბურგში განათლებამიღებულ სტუდენტს. ვინ იცის, იქნებ ილიამ ისიც იცოდა, რომ გრიგოლ ორბელიანი რუსეთის მეშვეობით საქართველოს ძირძველი ტერიტორიების დაბრუნებაზე ოცნებობდა, რაც ნაწილობრივ კიდევაც აუხდა. მე თავად, ახალუნივერსიტეტდამთავრებულს ძალიან მაღიზიანებდა გრიგოლ ორბელიანის გაორება, მის მიერ ნიკოლოზ ბარათაშვილის შეუმჩნევლობაც მაღიზიანებდა და ახალი სიტყვაც კი მოვიგონე ასეთი გაორების აღსანიშნავად – გრორბელიანიზმი.

*   *   *

**ჰოდა,** მერე და მერე მეც დავფიქრდი და მივხვდი, რომ საქმე ასე ერთმნიშვნელოვნად არ იყო, იმასაც მივხვდი, რომ ილიამაც და ახალმა თაობამაც კარგად იცოდნენ გრიგოლ ორბელიანის ფასი. იცოდნენ, რომ წინა თაობამ 1832 წლის შეთქმულება გამოიარა და ცხელი გულის გარდა ცივ გონებასაც უხმობდა ქვეყნის სამსახურად. მერე წავიკითხე ილიას სიტყვა გრიგოლ ორბელიანის დაკრძალვაზე – „შენი ქვეყნის შვილი რომ დააკვირდება მაგ შენს ბრწყინვალე ნავალს, მაღალის ნიჭით და მაღალის სიტყვიერებით შუქმოფენილს, ქვეყნის წინაშე თამამად თავს მოიწონებს, რომ საქართველოს შენისთანა კაცი ჰყვანდა და იმავე დროს იგლოვებს კიდეც, რომ შენ ჰყვანდი და აღარ ეყოლები. მშვიდობით ჩვენო სასიქადულო მამულიშვილო, ჩვენო სახელოვანო ქართველო, ჩვენო დიდებულო მწერალო“.

*   *   *

**ჰოდა,** ეს გვიან იყო, უკვე მაშინ, როცა გარდაცვლილზე ან კარგი უნდა თქვა და ან არაფერი, მაგრამ მანამდე, მთელი ოთხი წლით ადრე, როდესაც მოწინავე ქართველთა და მათ შორის, რა თქმა უნდა, ილიასა და მის თანამოაზრეთა ძალისხმევით, როგორც იქნა მთავრობამ დაამტკიცა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, რომლის სახელწოდება სწორედ გრიგოლ ორბელიანს ეკუთვნის, მისი თავმჯდომარეობა ილიას წინადადებით, სწორედ გრიგოლ ორბელიანს შესთავაზეს. მაგრამ მან უარი თქვა, ჯანის სიმრთელე და ამ საქმეში ჩემი გამოცდილება ხელს ვერ შემიწყობსო და საზოგადოებას თავმჯდომარედ დიმიტრი ყიფიანის არჩევა შესთავაზა, თუმცა მანამდე მისი სასტიკი წინააღმდეგი იყო, როცა დიმიტრი ყიფიანს თავადაზნაურობის მარშლად ირჩევდნენ. ხოლო ილია დიმიტრი ყიფიანის მოადგილედ აირჩიეს. სამი წლის შემდეგ საზოგადოების თავმჯდომარედ, ისევ ილიას წინადადებით, ივანე მუხრან-ბატონი აირჩიეს, რომელსაც იმავე ილიას ასე იხსენიებს „გამოცანებში“: „გაქნილობა რომ გაუდის, /ჭკვის ხმა აქვს დავარდნილია, /მაგრამ ჭკვიანი არ არის, /იგი მარტო გაქნილია. /ტაციობით დღეს აღამებს, /გულმურტალი და ფლიდია, /ყველა ლანძღავს, მაგრამ ყველა /იმას ფეხებზედ ჰკიდია.“ ილია კი მხოლოდ სამი წლის შემდეგ აირჩიეს წერა-კითხვის საზოგადოების თავმჯდომარედ, უკვე 47 წლისა, როცა დაახლოებით იმავე ასაკში გახლდათ, ვისაც ასე დაუნდობლად აკრიტიკებდა, როცა „მამებს“ ებრძოდა: ოთხი წლით უფროსი იყო მაშინდელ რევაზ ანდრონიკაშვილზე, შვიდი წლით უფროსი მაშინდელ გიორგი მუხრან-ბატონზე, ასევე შვიდი წლით უფროსი მაშინდელ დიმიტრი ჯორჯაძეზე, ათი წლით უფროსი მაშინდელ იასე ჭავჭავაძეზე, ცხრა წლით უფროსი მიხეილ ლორის-მელიქოვზე, სამი წლით უფროსი მაშინდელ ლევან მელიქიშვილზე...



*   *   *

**ჰოდა,** კიდევ უფრო ადრე, როცა 1871 წელს გიორგი წერეთელმა, ნიკო ნიკოლაძემ, ილია ჭავჭავაძემ და ახალი თაობის სხვა წარმომადგენლებმა XIX საუკუნის ერთ-ერთი საუკეთესო ჟურნალი „კრებული“ დააარსეს, და როცა საზოგადოებაში ჯერ კიდევ ისმოდა „პასუხის პასუხის“ კრიტიკული ექო „ხარაბუზა გენერლის“ წინააღმდეგ, როგორ ფიქრობთ, რა დაბეჭდეს ამ თავისი ჟურნალის პირველსავე ნომერში? რა დაბეჭდეს და იმ „ხარაბუზა გენერლის“ საანთოლოგიო „სადღეგრძელო“. დაბეჭდეს კი არა, სწორედ გრიგოლ ორბელიანის ამ პოემით დაიწყეს ჟურნალის გამოცემა!

*   *   *

**ჰოდა,** იმ დროს, როდესაც ილია „მამათა“ წინამძღოლს, თავის მოწინააღმდეგეს „ძველისა და ახლის შუა შემაერთებელ ხიდად თვლის“, თავისი თაობის წარმომადგენელს – ბესარიონ ღოღობერიძეს ასეთი სიტყვებით ამკობს: „ახლისა და ძველის შუა ის ჩატეხილი ხიდია, / ამ ტყუილს ბრძენსაც ქვეყანა, / ძმანო ფეხებზე ჰკიდია.“ ერთი სიტყვით – ერთ-ერთი „მამა“ თაობათა შემაერთებელი ხიდია, „შვილთა“ერთ-ერთი წარმომადგენელი კი – ჩატეხილი ხიდი.

*   *   *

**ჰოდა,** ასევე იქცევა ილია „გამოცანების“ მეორე სერიაში ბარათაშვილის თანაკლასელის ლევან მელიქიშვილისა და დიმიტრი ყიფიანის შემთხვევაში. ლევან მელიქიშვილის შემთხვევაში კი არ ამტკიცებს, უბრალოდ კითხვას სვამს, რაც ამოვარდნილია „გამოცანების“ საერთო სტილისტიკიდან: „ნეტა ვიცოდე: ქვეყანა / მასაც ფეხებზეც ჰკიდია?!“ ხოლო დიმიტრი ყიფიანის შემთხვევაში კიდევ უფრო შორდება „გამოცანების“ სატირულ სტილისტიკას: „მარტო მას, ვგონებ, ქვეყანა / ფეხებზედ არა ჰკიდია“.

*   *   *

**ჰოდა,** სად არის აქ მამათა და შვილთა ბრძოლა? თუ მაინცდამაინც მამათა შვილთა ბრძოლა უნდა ეწოდოს ამ ამბავს, მაშინ ეს იყო მამათა და შვილთა ერთობლივი ბრძოლა საერთო პრობლემების დასაძლევად, მამათა და შვილთა ერთობლივი ბრძოლა ძველთა გამოცდილებისა და ახალთა შემართების ურთიერთკავშირით. მამათა თაობა 1832 წლის აჯანყების თაობა იყო და მათი გამოცდილება – თუნდაც უარყოფითი – აუცილებელი იყო განათლებული ახალი თაობისათვის. დღესაც, ბევრი თავისი ცოდნის ან სხვისი ცოდნის გათვალისწინებით კი არ იღებს გადაწყვეტილებას, არამედ სპონტანურად, ემოციურად, სხვისი მიბაძვით. და დღესაც ბევრი თვლის, რომ ახალგაზრდობა ყოველთვის მართალია...

*   *   *

**ჰოდა,** არ გინდა, ეს ყველაფერი ერთ საათიან ლექციაში აუხსნა უფროსკლასელებს?! რაგინდ განვითარებულები იყვნენ და რაგინდ კარგი მასწავლებელი ჰყავდეთ?! მათ ჯერ არ იციან, რომ ბევრი რამ რაც მომავალში შეიძლება მათ პრობლემად ექცეთ, ახლა მათი ბრალი არ არის, მაგრამ მერე და მერე უკვე მათი ბრალი შეიძლება გახდეს. უფროსკლასელებს კი არა, სტუდენტებთანაც არა ერთი და ორი კვირა მჭირდება, რომ მათგან ყველაზე მონდომებულები და მოტივირებულები სულ ოდნავ მაინც ჩავახედო საკითხის არსში, დავარწმუნო, რომ ნებისმიერი საკითხის გადაწყვეტისას ცოდნა და ისტორიის გამოცდილების გათვალისწინებაა მთავარი და რომ ილიას ტყუილად არ უყვარდა ლაიბნიცის გამოთქმა: **აწმყო შობილი წარსულისაგან არის მშობელი მომავალისა.**

*   *   *

**ჰოდა,** მომავალი თავისით არ მოდის – წარსულისა და აწმყოს გაუთვალისწინებლად. წარსულის გასააზრებლად მამათა თაობის გამოცდილება უნდა გავითვალისწინოთ, აწმყო მამებმა და შვილებმა ერთად უნდა აშენონ, ხოლო მომავალი შვილების თაობამ უნდა დააშენოს აწმყოს და ქვეყნის ბედი უკვე თავის შვილებს გადასცეს კიდევ უფრო გასამშვენიერებლად თავისი, როგორც უკვე მამების, გამოცდილების გათვალისწინებით.

*   *   *

**ჰოდა,** ეს რომ არა, აღარ ექნება დასასრული ყველა ქართველისათვის ჟრუანტელის მომგვრელ სიმღერას – „აწმყო თუ არა გვწყალობს, მომავალი ჩვენია!“ მამათა და შვილთა ერთობლივი ძალისხმევა რომ არა, აღარასდროს დადგება ის მომავალი, რომელიც ჩვენი კი გვგონია, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენად მხოლოდ სიმღერაში დარჩება და აწმყოდ ვერასოდეს იქცევა. მხოლოდ ჟრუანტელიღა შეგვრჩება.

**პაატა ნაცვლიშვილი.**

(დასასრული მორიგ ნომერში)

### ბიძინა ივანიშვილი:

**ხვიჩა კვარაცხელია ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებულია!**

ვულოცავ მთელი ქვეყნისთვის საამაყო ფეხბურთელს ამ დიდ მიღწევას, რომელიც თავისი ნიჭით, შრომითა და თავდადებით გუნდთან ერთად მოიპოვა!

ვულოცავ მთელ საქართველოს, ვინაიდან თითოეული ჩვენგანისთვის ეს გამარჯვება დიდი სიხარულისა და სიამაყის მომტანია.

მჯერა, რომ ეს მიღწევა ხვიჩას კარიერულ გზაზე კიდევ უფრო მეტი წარმატებისა და გამარჯვებისკენ გადადგმული ნაბიჯია. ჩვენს ღირსეულ ფეხბურთელს ვუსურვებ, რომ მომავალშიც არაერთი გამარჯვებითა და ტიტულით გაახაროს და ასახელოს საკუთარი სამშობლო.

### მიხეილ ყაველაშვილი:

გილოცავთ,
კვარა ჩემპიონია!

### ირაკლი კობახიძე:

ვულოცავ ხვიჩას და ვულოცავ საქართველოს ამ უდიდეს გამარჯვებას!

### კახა კალაძე:

გილოცავ, კვარა!
გილოცავ, საქართველო!
ეს მხოლოდ დასაწყისია!

# ქართველი კვარა და ქართული ფარა




## დაიმახსოვრეთ 2025 წლის 31 მაისი!..

**გაზაფხული პოლიციის დღითა და ქართული ფეხბურთის ტრიუმფით გავაცილეთ. დიახ, ჩემპიონთა ლიგაში პარი სენ-ჟერმენის პირველი გამარჯვება ჩვენი ვარსკვლავბიჭუნას ფაქტორის გათვალისწინებით, მით უმეტეს, მისი მხოლოდ 4-თვიანი ფრანგული გაელვების გამო, სავსებით საფუძვლიანად მიგვაჩნია როკვად განფენილი ქართული გენის მორიგ გაბრწყინებად, რასაც დიდი სიამაყით გილოცავთ!**

როცა პირველი მერცხლის – **კახი კალაძის** ღირსეულ მემკვიდრეზე ვსაუბრობთ, აუცილებლად უნდა გამოვხატოთ მადლიერება მისი მშობლების – ბატონი **ბადრისა** და ქალბატონი **მაკას**, თბილისის დინამოს აკადემიის და გამორჩეულად – ბატონ **თემურ უგრეხელიძის**, კოვიდპანდემიის პერიოდში ტრამვლინად ქცეული რუსული წლების დროს ამაგისათვის **იური სიომინისა** და **ლეონიდ სლუცკის**, ნაპოლიში **სპალეტისა** და **კონტეს** და, განსაკუთრებით, მშობლიური **წალენჯიხის** მიმართ. აკი, აღნიშნა კიდეც ფინალისწინა საგაზეთო წერილში ნიუ იორკ თაიმსმა – იქაურობამ **ტერენტი გრანელი, მელიტონ ქანთარია** და **ხვიჩა კვარაცხელია** აჩუქა სამყაროსო. დაგვეთანხმებით, გადამთიელები ასეთ მრავლისმეტყველ პარალელებს შემთხვევით არ ავლებენ.

თქვენის ნებართვით, სწორედ ოკეანისგაღმელთათვის ნიშანდობლივ ერთ პარალელს ჩვენც გავავლებთ: იმ შაბათს, როცა მიუნხენში ქართული ბალადა იქმნებოდა, კავკასიის გეოპოლიტიკურ ცენტრში ქართული ფარა ამოქმედდა, რამაც კიდევ უფრო უნდა დაანახოს მტერსაც და მოყვარესაც, ვინ ვართ, საიდან მოვდივართ და საით მივისწრაფით ისევე, როგორც ეს ევროპული ცივილიზაციის ციტადელში 24 წლის კოლხმა ტალანტმა მოახერხა.

**პარი სენ-ჟერმენი – ინტერი 5:0**
**პირველი ტაიმი 2:0**
**გოლები: ჰაკიმი, დუე (2), კვარაცხელია, მაილუ.**

უთანასწორო ბრძოლაზე საუბარი გულუხვი არაბი ინვესტორის – **ელ სელაიფის** გაღებული ასტრონომიული თანხებით დავიწყოთ, რომლებიც აქამდე წყალში ჩაყრილად გამოიყურებოდა. **ბექჰემი, იბრაჰიმოვიჩი, კავანი, ტიაგო სილვა, დი მარია, ნეიმარი,** თვით **ლეო მესი** და კიდევ ვინ მოთვლის, რამდენი მეტნაკლებად წონადი ფიგურა არ ჩაიყვანა მეოცნებე მენეჯერ ჟოზე კამპუშის შეკვეთით რომანტიკოსმა მილიარდერმა სენის ნაპირებზე, მაგრამ **ანჩელოტის, ემერის, პოჩეტინიოსა** და სხვა არაერთ მათ დაფასებულ კოლეგა-მწვრთნელთა ძალისხმევა უტიტულობისთვის იყო განწირული.

და აი, ლუის ენრიკემ ხანგრძლივ პერიოდზე გათვლილი ახალი პროექტი ოპერატიულად დააგვირგვინა ტრიუმფით, რაშიც ხვიჩამ სოლიდური წვლილი შეიტანა. აქვე ორიოდე სიტყვა მეტოქეზე, რომელიც მრისხანედ კი გვეჩვენებოდა, მაგრამ სკუდეტოსა და იტალიის თასის გარეშე დარჩენამ **სიმონე ინძაგის** გუნდი, ეტყობა, ფსიქოლოგიურად გატეხა და თამაში გასახდელშივე წააგო. თუმცა, უმადურნი ვიქნებით, თუ მილანელებს მადლობას არ გადავუხდით – მათ ხომ წინა ეტაპზე მთავარი ფავორიტი – ბარსელონა გამოთიშეს ტურნირიდან.

**და ბოლოს: ჩემპიონთა ლიგის ფინალში გატანილი პირველი ქართული გოლის ავტორი ისტორიაში უკვე ჩაეწერა ოქროს ასოებით. ჯერ სადა ხართ – კვარას ეპოქა ანი იწყება!**



„დინამო თბილისის“ მწვრთნელი:

## ხვიჩა დამპირდა, რომ თუ გაიმარჯვებს, ჩემპიონთა თასს თბილისში ჩამოიტანს და ქართულ ღვინოს დავლევთ

**ხვიჩა კვარაცხელია გავშვობის მწვრთნელს, ლადო კაკაშვილს დაჰპირდა, რომ ჩემპიონთა ლიგის მოგების შემთხვევაში თასს თბილისში ჩაიტანს,** – ამის შესახებ გამოცემა „ნიუ იორკ თაიმსთან“ ინტერვიუში **კაკაშვილმა** ისაუბრა.

ამერიკული გამოცემის ცნობით, კვარაცხელიამ ეს პირობა სწორედ იმ ადამიანს მისცა, ვინც წარსულში მის განვითარებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა – ლადო კაკაშვილს, რომელიც ამჟამად „დინამო თბილისის“ მთავარი მწვრთნელია.

**„ხვიჩა დამპირდა, რომ თუ გაიმარჯვებს, თასს აქ, თბილისში ჩამოიტანს, ჩვენ ჩემს კაბინეტში დავსხდებით და თასიდან ქართულ ღვინოს დავლევთ“,** – თქვა **ლადო კაკაშვილმა.**

ლადო კაკაშვილი ხვიჩა კვარაცხელიას „დინამო თბილისის“ აკადემიაში წვრთნიდა. „პარი სენ-ჟერმენის“ ქართველმა თავდამსხმელმა ჩემპიონთა ლიგის ფინალში მილანის „ინტერთან“ გამარჯვებაში (5:0) მონაწილეობა გოლით მიიღო.

## ხვიჩა კვარაცხელია: მჯეროდა, რომ ჩემპიონთა ლიგის მოგება შესაძლებელი იყო

**ჩემპიონთა ლიგის** გამარჯვებული **ხვიჩა კვარაცხელია** პირველი კომენტარით **პიტერ შმაიხელთან** გამოჩნდა, რომელიც უეფა-ს ტელევიზიასთან ექსპერტის რანგში თანამშრომლობს.

ლეგენდარულმა დანიელმა მეკარემ ქართველ ფეხბურთელს ასე მიმართა:

**– ხვიჩა, ოთხი თვის წინ სულ სხვაგან იყავი, ახლა კი ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებული ხარ. ეს არ ყოფილა უბრალოდ 1:0 – მოიგეთ 5:0! რას გრძნობ ამ მომენტში?**

– აღწერა მიჭირს. ეს საოცარი შეგრძნებაა, შოკირებული ვარ. ჯერაც ვერ ვიჯერებ, რომ აქ ვდგავარ. თუმცა ყოველთვის მჯეროდა, რომ ეს შესაძლებელი იყო. მე ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებული ვარ და ძალიან ბედნიერი ვარ. ამ ყველაფერს ერთად მივაღწიეთ – კლუბთან და მწვრთნელებთან ერთად.

**– ნამდვილად უნდა იამაყო. ეს იყო წარმოუდგენელი პერფორმანსი თქვენგან – არა მხოლოდ დღეს, არამედ მას შემდეგ, რაც პსჟ-ს შეუერთდი. როგორ ფიქრობ, რამდენის მიღწევა შეუძლია ამ გუნდს და რამდენ ხანს შეგიძლიათ ამ დომინაციის გაგრძელება?**

– ვფიქრობ, ეს გუნდი ჩემამდეც იმსახურებდა ჩემპიონობას, მაგრამ ფეხბურთში ხშირად გხვდება რთული მომენტები, რომლებიც უნდა გადალახო. ჩვენ ეს შევძელით. ფინალში „ინტერის“ 5:0 დამარცხება მარტივი არ არის.

**– როგორც ჩანს, დღეს თითოეული თქვენგანი სიამოვნებას იღებდა ლუის ენრიკეს ფეხბურთის სტილით.**

– ყველაზე მნიშვნელოვანია, რომ ოჯახივით ვართ. ყოველთვის ვცდილობთ, ერთმანეთს მაქსიმალურად დავეხმაროთ. მწვრთნელი საოცრად მუშაობს, ყველაფერს იდეალურად გვიხსნის და ჩვენც ვცდილობთ, ეს მოედანზე გადავიტანოთ.

**კოტე ტუღუშის** გაწვრთნილმა ქუთაისმა გაიმეორა **ზურაბ ტომარაძის** ნაამაგარი ვითას მიღწევა და, აზოტის მსგავსად, 0:2-ის შემდეგ თსუ-ს 3:2 დამარცხებით საკალათბურთო სუპერლიგა მოიგო (ბოლო მატჩი – 93:82).

გადამწყვეტ შეხვედრაში მასპინძელთა ტრიუმფი, ისევე როგორც მთელ ფინალურ სერიაში, ფარქვეშ ბრძოლაში მოპოვებულმა უპირატესობამ და ცენტრთა დუბლებმა განაპირობა: **კორსანტია** – 30 ქ. და 10 მ, **დვალიშვილი** – 23 ქ. და 14 მ.

* * *

სიამოვნებით გაუწყებთ, რომ დიდებულად ასრულებს იტალიურ კარიერას **თორნიკე შენგელია,** რომელმაც ბარსელონაში გადასვლამდე გამოჯანმრთელებაც მოასწრო და სკუდეტოსთვის ბრძოლაში ვირტუსის ლიდერობასაც განაგრძობს.

ამჯერად ბოლონიელთა ქართველმა ლეგიონერმა ბოლო წლებში ყველაზე უხერხულ მეტოქესთან – მილანთან ნახევარფინალური სერიის პირველ საშინაო შეხვედრაში გაიბრწყინა და პარტნიორებს 18 ქულით მძიმე გამარჯვება მოუტანა – 68:67. დღეს **დუშკო ივანოვიჩის** გუნდი ისევ მასპინძელი იქნება.

## ფარქვეშ მაინც სხვაა...



## ლეკვი ლომისა...

**ქართული სპორტის საყოველთაო პროგრესის ჟამს საერთაშორისო სარბიელზე ომახიან სიტყვას ჯვაროსანი მანდილოსნებიც ამბობენ.**

ამჯერად ებრაელი სპეციალისტის **ინის ანტმანის** გაწვრთნილ ფეხბურთელ ქალთა ეროვნული ნაკრების მორიგ წარმატებას გაუწყებთ, რომელმაც ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ტურნირის ჯგუფურ რაუნდში მნიშვნელოვანი გამარჯვება ანდორაში მოიპოვა – 2:1 და შემდეგ ეტაპზე გასასვლელად ხვალ მიხეილ მესხის სტადიონზე 21 საათზე კვიპროსი უნდა დაამარცხოს. მოკლედ, ყველანი ვაკეში!

რაც შეეხება გასვლით მატჩს, ჩვენმა გუნდმა თითქმის მთელი მეორე ტაიმი **პასიკაშვილის** გაძევების გამო რიცხვნაკლულმა ითამაშა, მაგრამ შესვენებამდე **მწყერაშვილის** ძალისხმევით (ასისტს პლუს გოლი) მიღწეული უპირატესობა ბოლომდე შეინარჩუნა. დავძენთ, რომ კუნძულელებთან ქომაგთა მხარდაჭერა ჩვენ გოგონებს განსაკუთრებით ჭირდებათ, რადგან სანქციებისა თუ ტრავმების გამო რამდენიმე ლიდერი დააკლდებათ.

საქართველოს რესპუბლიკა

## ვანო ჩხიკვაძე

# საბავშვო ლექსები დიდებისთვის...



### ფერეიდნელი პატარა

სულ სხვანაირი მადლი აქვს,
გადასდის შუბლზე ნათელი,
ფერეიდანში, მშობლიურ
ენას რომ სწავლობს ქართველი.

წინაპრის ნაანდერძევს რომ
ეძიებდეს და ჰპოვებდეს,
უნდა ყოჩაღად აუყვეს
კიბეს „ანიდან“ „ჰოემდე!“

იქიდან გვეჭიკჭიკება,
იცის, ოცნების ფრთებიანს,
რომ ანბანს —
ჩვენს ცისარტყელას
ოცდაცამეტი ფერი აქვს!

### გახსოვდეს!

უწმინდესის ნათლულებს

ერთი, ორი,
ერთი, ორი,
გვიცავს ჩვენი რწმენის თორი!

ზარი, მცხეთის „დიდ ტაძარში“
გახსოვდეს, იმიტომ რეკავს,
„დიდმა მთებმა“ გორგასალის
ფეხქვეშ ისევ „იწყონ დრეკა!“

უკან თუ არ დავიბრუნებთ,
მაშინ რაღა პასუხს გავცემთ,
ჩახმახივით წკიპზე შემდგარ
ლიახვს, კოდორს, თამარაშენს!

ჩვენად თუ არ დავიგულებთ
ღვთის ბოძებულ
მშობელ მთა–ველს,
ღრუბლის ქულებს,
მწვერვალებზე,
მობალახე უფლის კრავებს,
როგორ გავშლით ჯვრიან დროშებს,
ნიავი რომ უნანავებთ?!

უნდა მუდამ ანათებდეს
სიყვარულის მზე და მთვარე,
ეს წალკოტი,
საპატრონოდ,
ამ პირობით ჩაიბარეთ!

უფალი როგორ წაახდენს,
მომხდურს იმის ეშინია,
სადაც ყივის მამალი და
შრომობს კაცი,
ყეფს ფინია!

ერთი, ორი,
ერთი, ორი,
გვიცავს ჩვენი რწმენის თორი!

უწმინდესის დალოცვილი,
მჯერა, ისე მოცქრიალდით,
„გოგნი-გოგნი“ გოგონა და,
ბიჭი — ოქროსქოჩრიანი,
არ იქნება, ჩვენი მხსნელის,
აკვანი რომ არ დაირწეს —
ხმალი აღმაშენებელის
პირჯვარს კიდევ გადაიწერს!

### სამხეცეში

უღრანეთში თუ არ ცხოვრობს,
არ მიარღვევს ლელიანს,
აბა, ის რა ლომი, ანდა,
რანაირი მგელია!

გული როგორ არ მოგიკვდეს,
როცა ეძებს ნამცეცებს,
გალიიდან
ვეფხვი მორჩილ
თვალს რომ შემოგაცეცებს!
თავისუფალი ნავარდი,
რომ არც დასიზმრებიათ,
ტყვეობაში ჩნდებიან და
ტყვეობაში კვდებიან!

ასე როგორ დაიმონე,
ბედისწერავ, ტიალო,
ვოლიერში მბრძანებელის
აჩრდილი დაყიალობს —
მენატრება, ამოხეთქო,
ჯუნგლის მეფის ღრიალო!

### თოკოს ჭადრაკის გაკვეთილი

უნდა კარგად დაუფიქრდე,
„სვლები“ აწონ-დაწონო,
აბა, ისე გამარჯვებას
ვინ მოგართმევს, ბატონო!

დაიხსომე, რაც ოდითგან
შავით თეთრზე წერია,
ცაიტნოტი, მოჭადრაკის
მტერზე უფრო მტერია!

დაფა, უჯრების „ფალანგით“,
მართლა ბრძოლის ველია,
ხომ შევრცხვებით,
„თეთრი მეფე“,
„შავს“ თუ ვერ მოერია?!

თოკო, ახლა გამოჩნდება
ჭკუა და სიჩაუქე,
დაიხსომე,
დღეს, ტყუილად,
„ფიგურას“ ვინ გაჩუქებს?!

დედოფალს თავს ევლებიან,
დილა თუ საღამოა,
ვიდრე არ მოიკაზმება,
პოდიუმზე გამოვა?

მცონარა „კუ“ თავს გამოყოფს,
მეც ნახირ-ნახირაო:
„მომყეთ, ძმებო,
რომ ტახტიდან
მეფე დავაყირაოთ!“

„ტურამ“ უცებ შეიფერა
ოფიცერის მუნდირი,
ნახეთ, როგორ გამამაცდა
ეს პაიკიც, უნდილი —
„სასახლეს“ რომ ეპარება,
როგორც თაგვი კიდობანს,
„სოფლის გოგომ,“
დედოფლობა,
თურმე, არ მომინდომა?!

პოზიცია აირია,
თავი ისე აიგდეს,
გონჯი, „კარის მასხარაც“ კი
„მეფეს“ ჭკუას არიგებს.

იქით, პაიკების ბუნტი,
აქეთ — სისხლი იღვრება,
ჯერ ვინ „გათვლის“
ბრძოლის ბედი
საით გადაიხრება!..

ხომ გითხარი,
ოდითგანვე
შავით თეთრზე წერია —
ცატნოტი, მოჭადრაკის
მტერზე უფრო მტერია!..

„ისარო“ არ ჩამოვარდე,
ციფერბლატის ფასკუნჯო,
რაღას უცდი,
თოკო, „ცხენი“
უკვე დროა, ასკუპო!

წინ წასწიე
აქ პაიკი
მზადყოფნაში რომ არი,
„ოფიცერმა“ „მხარულით“ რომ
გაჭრას დიაგონალი...

„მიტელშპილში“ თუ გატეხე
მომხდურის სიჯიუტე,
ყველა მხრიდან
„გვირგვინოსანს“
„ქიშით“ უნდა მიუხტე!

ზოგჯერ მზეჭაბუკი ხარ და
ზოგჯერ ჯუნგლში მაუგლობ,
გამარჯვების სიხარულს რომ
გემო მალე გაუგო,
შეუძახე —
ამოდუღდი
გამარჯვების შარბათო —
„თეთრმა მეფემ“
„შავი მეფე“
უნდა დააშამათოს!

### სარეველა

დათბება და მინდორ-ველად
გალაღდება სარეველა!

დროზე თუ არ გამოთიბე,
ფეხი ფეხზე გადაიდე,
გაზაფხულის წვიმით მთვრალი,
ვინ რა იცის, რას ჩაიდენს!

ღამით გადაბალახდება
დილით დაფარცხული ხნული,
საურმეს და ყველა ბილიკს
წაშლის, ისე გადაუვლის.

ჩემო თოკო, ჩვენი მტერი,
განა მხოლოდ ბალახია,
ვინც სამშობლო გაასხვისა,
ფურცელივით გადახია —
ღვთის შეწევნით,
ახლა მაინც,
არ ჩაგვთვლიმოს,
ფხიზლად ვიყოთ,
სარეველა კაცის მოდგმა,
რომ ბოლომდე გამოვთიბოთ!

---

ვიმეორებთ მკითხველის თხოვნით

## ორი «კვარა»

(ექსპრომტი)

„პარკ დე პრენსზე“ ორი „კვარა“,
ჩვენი გულის გასახარად,
ერთმანეთს როგორ შვენიან —
მამა შვილს და
შვილი — მამას!

ვერსალს სულხან-საბა ახსოვს,
ამილახვრის თავდადება,
ნიკალას და მარგარიტას
„გრძნობის“ ამოთავთავება.

დღევანდელი სიხარულის
ცრემლი თვალებს ახლაც ნამავს —
იცის, ფეხზე რომ აუდგა
პარიზელი, შვილს და მამას?!

ვიდრე ამოსაძირკვი გვაქვს
„შამბნარი“ და „ლელიანი“,
საფეხბურთო მოედანიც
ჩვენთვის ბრძოლის ველი არის!

ღმერთი ხელს ვერ მოუმართავს
„ცალ კარში“ ვინც თამაშობენ,



შვიდგზის ლოცვა შეეწევა
შვიდნომრიან მამა-მშობელს!
ღმერთო,
ხელი მოგვიმართე,
შვილები რომ სჯობდნენ მამებს —
გაეზარდე საქართველოს,
ციცქნა „კვარა-დამიანე!“

5.04.25

**ახლახან ამბროლაურში პირველად ჩატარდა თეატრალური ფესტივალი „რაჭა–2025“. მისი დამაარსებელი, ამბროლაურის კულტურის სახლის დირექტორი, ქორეოგრაფი და თეატრის დიდი გულშემატკივარი, ბატონი თამაზ დაუშვილი დიდი ენთუზიაზმითაა განწყობილი, რომ მშობლიურ მხარეში მივიწყებულ თეატრალურ ტრადიციებს აღადგენს და მაყურებელსაც ცნობილი მსახიობების ხილვის საშუალება ექნებათ. თავად ის ფაქტი, რომ ორი კვირის განმავლობაში დარბაზი გადაჭედილი იყო, თეატრისადმი ადგილობრივი მოსახლეობის დიდი სიყვარულის მაგალითია. თავად ბატონი თამაზი ამბობს, რომ ფესტივალის ჩატარება ადგილობრივი მოსახლეობის თხოვნის გათვალისწინება და სხვადასხვა თეატრების მასპინძლობაა. აქ თავიანთ ხელოვნებას წარმოადგენენ როგორც სახელმწიფო პროფესიული, ისე სახალხო თეატრალური დასები. რა თქმა უნდა, ფესტივალის ჩატარებაში დიდი წვლილი მიუძღვის ადგილობრივ ხელისუფლებასა და რწმუნებულს, რომლებმაც სათანადო ფინანსური რესურსი გამოჰყვეს.**


მონოსპექტაკლი „ილია — თანმდევი სული“


სცენა სპექტაკლიდან — „ბამბაზიის სამოთხე“

# თეატრალური ზეიმი — „რაჭა 2025“

**ამბროლაურში კულტურის სახლი 1946 წელს გაიხსნა, სადაც დრამატული ჯგუფიც შეიქმნა. დასაწყისში ერთმოქმედებიანი პიესები და ფელეტონები იდგმებოდა, 1959 წელს კი ამაგდარი რეჟისორის გიგა ჯაფარიძის ინიციატივით დაიდგა ალ. ყაზბეგის „ხევისბერი გოჩა“, რომელმაც სახალხო თეატრების ფესტივალზე დიდი წარმატება მოიპოვა და დასს საქართველოში პირველი სახალხო თეატრის წოდება მიენიჭა, 1987 წელს კი თეტარმა ლიტვაში გამართულ ფესტივალზე „გრან-პრი“ დაიმსახურა.**

ამჯერად ფესტივალში 8 დასმა მიიღო მონაწილეობა და მაყურებელმაც ძლიერ გაიხარა.

ფესტივალი გაიხსნა მესხეთის თეატრის სპექტაკლით **„გაუგებრობა“** (იასმინა რეზას „ომის ღმერთის“ მიხედვით), რეჟისორი – მალხაზ ასლამაზაშვილი, მონაწილეობენ: მანანა ბერიძე, ნიკოლოზ გოგიძე, კონსტანტინე კახიშვილი, ქრისტი ჩხიკვაძე. სცენოგრაფი ლელა ფერაძე.

სასიამოვნოა, რომ ორმა თეატრმა მიმოდრამის ჟანრის სპექტაკლი წარმოადგინა. ამ ტიპის თეატრი საქართველოში ცოტაა. შეიძლება დასახელდეს პანტომიმისა და მოძრაობის თეატრები. ამიტომ ამ ჟანრის რეგიონებში განვითარება ერთობ მნიშვნელოვანია. მოძრაობითა და ჟესტით, სათანადო მუსიკალური გაფორმებით, სპექტაკლის არსის წარმოჩენა საკმაოდ რთული პროცესია, მით უმეტეს მაყურებლამდე სათქმელის სწორად და გასაგებად მიტანა. პაოლო იაშვილის სახელობის საჩხერის თეატრმა „შერეკილები“ წარმოადგინა, რომელიც ელდარ შენგელაიას ამავე სახელწოდების ფილმის მიხედვითაა დადგმული. ოღონდ დამატებული აქვს რ. გაბრიაძის სცენარის ის ეპიზოდები, რომლებიც ფილმში არ შევიდა. საჩხერელი „შერეკილების“ რეჟისორია გიორგი მეტონიძე.

მესტიის კულტურისა და ხელოვნების ცენტრის დასმა წარმოადგინა „ბეთქილი“, რომელიც დალისა და მონადირის ცნობილი ლეგენდის სიუჟეტზეა აგებული. სპექტაკლი დადგა მოწვეულმა რეჟისორმა, მოძრაობის თეატრის ხელმძღვანელმა კახა ბაკურაძემ. ეს სვანური მითოსი ევა მარგიანის ნაწარმოების მიხედვით შეიქმნა.

ცაგერის სახალხო თეატრის სპექტაკლი გოდერძი ჩოხელის მოთხრობის „ადამიანთა სევდის“ მიხედვითაა განხორციელებილი. რეჟისორმა დარეჯან საღინაძემ თავი მოუყარა თეატის მოყვარულ ახალგაზრდობას. მან ეთნოგრაფიული მასალით, მოქმედებაში სიმღერებისა და ცეკვების ჩართვით, მწერლისა და მისი გმირების ცხოვრებისეული სევდის ამბავი წარმოსახა.

ონის სახალხო თეატრმა წარმოადგინა „ვოდევილები“, რომელშიც წარმოდგენილია გიორგი ერისთავის „უჩინმაჩინის ქუდი“ და გიორგი ორბელიანის „სიყვარულის სასმელი“. აქაც დაკავებულნი არიან ახალგაზრდა სცენისმოყვარეები. მათთან საინტერესოდ იმუშავა რეჟისორმა ნინო ბერელიძემ და პერსონაჟები დაუახლოვა ავტორისეულ სახეებს.

მაყურებლისთვის განსაკუთრებით სახალისო გამოდგა მარჯანიშვილის თეატრის სპექტაკლის „უჩინმაჩინის ქუდის“ ხილვა. რეჟისორ ციცინო კობიაშვილისთვის მთავარი აღმოჩნდა გმირთა კომედიური ბუნების ჩვენება და არა მისი სოციალური არსის წინ წამოწევა, რაც დამახასიათებელია ქართული დრამატურგიის კლასიკოსის გიორგი ერისთავის პიესებისთვის. ამიტომაც მოხდა ტექსტის ადაპტაცია გმირთა კომედიური არსის გასახსნელად. მსახიობებმა გროტესკული განსახიერებით შეძლეს თითოეული პერსონაჟის ინდივიდუალური თვისებების წარმოჩენა. ასეთებია ონისე ონიანის მარტირუზა, ქეთი ცხაკაიას შუშუნი და სხვები.

ოზურგეთის თეატრის დოკუმენტური მონოსპექტაკლი „ილია – თანმდევი სული“ (ინსცენირების ავტორი ნინია სადღობელაშვილი, რეჟისორი და სცენური ვერსიის ავტორი ვასილ ჩიგოგიძე) წარმოადგენს ილიას შემოქმედებისა და მოღვაწეობის წარმოჩენის ახლებურ ვერსიას. სპექტაკლის წარმატება განაპირობა მსახიობ ბელა კიკვაძის მაღალმხატვრულმა შესრულებამ, რომელმაც შესძლო ილიას სულიერი მემკვიდრეობის თანამედროვე სულისკვეთებით გაცოცხლება.

ფესტივალის დახურვის დღეს ამბროლაურის კულტურის ცენტრთან არსებულმა თეატრალურმა დასმა ნინია სადღობელაშვილის ცნობილი პიესა „ბამბაზიის სამოთხე“ წარმოადგინა. რეჟისორ მამუკა ცერცვაძის ინტერესი პიესისადმი მისმა მთავარმა პრობლემამ აფხაზებისა და ქართველების დაახლოება-შერიგების აქტუალურმა თემამ განაპირობა. მსახიობებთან მუშაობამ მაქსიმალურად გამოავლინა გმირთა რთული, ურთიერთსაწინააღმდეგო ფსიქოლოგიური სახეები, რამაც ისეთი ემოციური გარემო შექმნა, რომ მაყურებელიც გულგრილი არ დატოვა. სპექტაკლის მთავარი გმირი მასწავლებელი ელენეა, რომელსაც ერთადერთი შვილი აფხაზეთის ომში დაეღუპა და მისი ჩამოსვენების იმედით ცოცხლობს. მსახიობი ლილიანა მხეიძე ცდილობს ყოველდღიურ ცხოვრებაში ეს განცდა შეფარვით ატაროს, მაგრამ გარშემომყოფნი: ლაურა (ნ.ლებანიძე), ლექსო (ი. ცაგურიშვილი), ბათუ (ზ. მეტრეველი), გიო (გ. ბერიშვილი) მის წუხილს ამჩნევენ და თანაგრძნობით ეკიდებიან. თავიდანვე დრამატული და დაძაბულია აფხაზ დედასთან მისი შეხვედრა. მსახიობი თამარ ობოლაშვილის გმირი მას ჯერ მტრულად ხვდება და ბოდიშის მოხდას მოითხოვს, რომ საკუთარი პატივმოყვარეობა დაიკმაყოფილოს და დარდი შეიმსუბუქოს. თუმცა ელენეს ლმობიერება, კეთილგანწყობა და დედობრივი განცდა მას გულს მოულბობს – ორივენი ხომ შვილმკვდარი დედები არიან... ეს სპექტაკლი წარმატებით აჩვენეს მარჯანიშვილის თეატრის სცენაზეც.

ფესტივალზე შექმნილმა გარემომ, ასეთი ფორუმების აუცილებლობა გამოავლინა. ეს დიდ გავლენას მოახდენს მაყურებელსა და თეატრის მოყვარულ ახალგაზრდობაზე. სამომავლოდ აუცილებლად ჩამოყალიბდება ამ ფესტივალის სახე და მიზნები, თუ რა მიმართულებით უნდა განვითარდეს, როგორი კოლექტივების მოწვევა უნდა განხორციელდეს. ფესტივალი განსაზღვრავს მხოლოდ სახალხო თეატრების წარმოჩენას, თუ მათთან ერთად პროფესიული დასებიც მიიღებენ მონაწილეობას?! მთავარია, რომ ფესტივალმა მაყურებელი დიდი სიყვარულით გააერთიანა და საზეიმო განწყობა შეუქმნა.

ფესტივალზე ნომინაციებში გამარჯვებულები გამოვლინდნენ: **მამაკაცის როლის** საუკეთესო შესრულებისთვის პირველ ადგილზე გავიდა კ. მარჯანიშვილის თეატრის მსახიობი **ონისე ონიანი** („უჩინმაჩინის ქუდი“). **ქალის როლის** საუკეთესო შესრულებისთვის პრიზი წილად ხვდა ოზურგეთის ალ. წუწუნავას სახელობის **თეატრის მსახიობს ბელა კიკვაძეს („ილია – თანმდევი სული“).**

**ჟიურის სპეციალური პრიზი** მესხეთის (ახალციხე) სახელმწიფო პროფესიულ თეატრს გადაეცა სპექტაკლისთვის „გაუგებრობა“.

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრთან არსებული თეატრის სპექტაკლის „ბამბაზიის სამოთხე“ **რეჟისორს მამუკა ცერცვაძეს პრიზი ხვდა საუკეთესო რეჟისურისთვის. ორიგინალური მუსიკალური გაფორმებისთვის** – საჩხერის პ. იაშვილის სახელობის სახალხო თეატრს სპექტაკლისთვის „შერეკილები“. **საუკეთესო ქორეოგრაფიისთვის** – ცაგერის გრ. მდივნის სახელობის სახალხო თეატრს სპექტაკლისთვის „ადამიანთა სევდა“; **ონის გ. ჯაფარიძის სახელობის სახალხო თეატრს** ახალგაზრდობის წარმოჩენისთვის სპექტაკლში „ვოდევილები“; **პატრიოტული თემის წარმოჩენისთვის** მესტიის კულტურისა და ხელოვნების ცენტრთან არსებულ სახალხო თეატრის სპექტაკლს „ბეთქილი“.



**გუბაზ მეგრელიძე,**
ამბროლაური-თბილისი

# პოსტერების კონკურსი „ნუ წაართმევ ბავშვობას“

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, ბავშვობის ასაკში ქორწინების წინააღმდეგ ბრძოლის საინფორმაციო კამპანიის – ნუ წაართმევ ბავშვობას ფარგლებში, სკოლის მოსწავლეებისთვის პოსტერების კონკურსს აცხადებს.

„კონკურსში მონაწილეობით შეგიძლიათ ჩაერთოთ ჩვენს საინფორმაციო კამპანიაში და თქვენი წვლილი შეიტანოთ საქართველოში ბავშვობის ასაკში ქორწინების უარყოფითი შედეგების თემაზე საზოგადოების ცნობიერების გაზრდის პროცესში.

პოსტერების კონკურსში მონაწილეობის
წესები და პირობები:

კონკურსში მონაწილეობა შეუძლია ნებისმიერ დაინტერესებულ პირს, საქართველოს მასშტაბით, 12-იდან 18 წლამდე;

ფორმატი – საკონკურსო პოსტერი უნდა მოიცავდეს ერთ გვერდს. შესრულებული უნდა იყოს კონკურსანტისთვის სასურველი ზომით (A1, A2, A0 და ა.შ.). ნამუშევარი გადმოგზავნილი უნდა იყოს **PDF**, **PNG** ან **JPG** ფორმატით;

შინაარსობრივი მხარე – პოსტერის თემატიკა ლოგიკურად უნდა ეხმიანებოდეს „ნუ წაართმევ ბავშვობას“ კამპანიის მიზნებსა და ნაადრევი ქორწინების საფრთხეებს;

ვიზუალური მხარე – დატანილი იყოს წარწერა/სლოგანი, ფოტო, ნახატი, გრაფიკულად შესრულებული დიზაინი ან ნებისმიერი სხვა ვიზუალურად გამოხატული ნამუშევარი, რომელიც მოიცავს ნაადრევი ქორწინების თემატიკას;

ნაშრომი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნებს, თემასთან და მითითებულ პირობებთან არსებითად შეუსაბამოა, შეიცავს უცენზურო, დისკრიმინაციულ, ძალადობრივ ლექსიკას ან გრაფიკას, რომელიც არ შეესაბამება ზოგად მორალურ და ეთიკურ პრინციპებს, წარმოდგენილია არასრულყოფილად ან კონკურსის ვადის ამოწურვის შემდეგ, არ მიიღება. ასევე, პლაგიატის აღმოჩენის შემთხვევაში ან ნამუშევარი, რომელიც უკვე გამოქვეყნებულია მოიხსნება კონკურსიდან.

გამოგზავნილ წერილში აუცილებელია მიუთითოთ თქვენი სახელი, გვარი, სკოლა, მობილური ტელეფონის ნომერი, ელ. ფოსტის მისამართი, პოსტერის სათაური და მისი მოკლე აღწერა;

კონკურსის ვადის დასრულების შემდგომ, ჟიურის წევრები გამოავლენენ სამ საუკეთესო ნამუშევარს შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

1. კრეატიულობა; 2. შინაარსობრივი მხარე; 3. ვიზუალური მხარე. გამარჯვებულებს გადაეცემათ სასაჩუქრე ვაუჩერები, ყველა კონკურსანტს კი მონაწილეობის დამადასტურებელი სერტიფიკატები გადაეცემა.

თითოეულ კონკურსანტს უფლება აქვს, წარმოადგინოს მხოლოდ ერთი პოსტერი;

საკონკურსო ნამუშევრები მიიღება
1 ივნისიდან 25 ივნისის ჩათვლით.

გთხოვთ, პოსტერები გამოაგზავნოთ ელექტრონულ ფოსტაზე – **adamianisuflebebi@mia.gov.ge**. კონკურსთან დაკავშირებით კითხვების არსებობის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: თამარ ბასილაშვილი – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებების დაცვის დეპარტამენტის წარმომადგენელი – 598 98 00 04 ან მოგვწერეთ ელ. ფოსტაზე: **adamianisuflebebi@mia.gov.ge**.

კოლეგა



# მართლაც, რა უცებ გაირბინეს წლებმა!..

**ნახევარ საუკუნეზე მეტია ქართულ ჟურნალისტიკაში ნაყოფიერად მოღვაწეობს სიცოცხლით სავსე, შრომისმოყვარე, ხელხვავიანი კალმოსანი, საქართველოს რადიოს, ტელევიზიის და რეგიონული ჟურნალ-გაზეთების მუდამ სასურველი მუშაკი ლიანა (ლია) მარტაშვილი.**

წარმოშობით სიღნაღელია, სოფელ ქვემო მაჩხაანიდან. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ სამი წლის განმავლობაში წნორის მესამე საშუალო სკოლაში მასწავლებლობდა, 1970 წლიდან ოჯახი რუსთავში გადმოსახლდა და მას შემდეგ მეტალურგთა და ქიმიკოსთა ქალაქი გახდა მისი მეორე ადგილისდედა.

განათლებული ფილოლოგი, ჯავარიანი ქართულის მცოდნე მწერალი საუკეთესო შენაძენი იყო რუსთავის საქალაქო გაზეთებისთვის. 1980 წელს ლია მარტაშვილს ანდეს რუსთავის რადიომაუწყებლობის რედაქტორობა, რადიოსი, რომელსაც 175 000 მსმენელი ჰყავდა. 10 წლის შემდეგ გახდა გაზეთ „მეტალურგის" რედაქტორის მოადგილე, პარალელურად რეპორტაჟებს აწვდიდა საქართველოს რადიოსა და ტელევიზიის შესაბამის რედაქციებს.

2000 წლიდან დღემდე მუშაობს გაზეთ „რუსთავში". არის საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციის და მწერალთა კავშირის წევრი. მინიჭებული აქვს საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტის წოდება. ფლობს ნიკო ნიკოლაძის სახელობის პრემიას.

ლია მარტაშვილი პრინციპული და სამართლიანი ჟურნალისტია. რუსთაველთა სოციალური პრობლემების კვლევა-ძიება და პირუთვნელი განსჯა მისი პროფესიული ხელწერის მთავარი განმსაზღვრელია. ამიტომაც შეარქვეს მას რუსთაველებმა მართლაც საამაყო სახელი – „რუსთავის სახალხო ჟურნალისტი"...

ლია მარტაშვილი არის ორი პუბლიცისტურ-პროზაული წიგნის ავტორი, გამოსაცემად მზად აქვს საავტორო კრებული, რჩეული ნაწერების ერთტომეული „მზე ძალაობს"...

დღესაც ინტენსიურად იბეჭდება რესპუბლიკურ ჟურნალ-გაზეთებში, მათ შორის „საქართველოს რესპუბლიკაში"... შემოქმედებით მუშაობასთან ერთად თავს ევლება ერთადერთ შვილს და სამ შვილიშვილს. ოცნებობს საქართველოს გამთლიანებასა და გაერთიანებაზე.

**უცებ გაირბინეს წლებმა... დღეს ეს ლამაზი და მოუსვენარი ქალბატონი 80 წლისაა!**

**გულწრფელად, საუკეთესო სურვილებით მივესალმებით ჩვენს ძლიერ და უშიშარ კოლეგას ლია მარტაშვილს და ახალ შემოქმედებით წარმატებებს ვუსურვებთ.**

**გიორგი მამაცაშვილი,**
საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციის თავმჯდომარე;

**სპარტაკ ქოზულია,**
გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" მთავარი რედაქტორი.

# ხელოვნურმა ინტელექტმა ადამიანების შანტაჟი დაიწყო: ის მზადაა ოჯახების დასანგრევად!




**ხელოვნური ინტელექტი აღარ არის მხოლოდ უსულო ასისტენტი. ის უკვე იწყებს ცბიერი მანიპულატორივით ქცევას. ცოტა ხნის წინ ერთ-ერთმა ყველაზე მოწინავე ხელოვნური ინტელექტის მოდელმა Claude Opus 4-მა სცადა ინჟინრების შანტაჟი, რომლებსაც მისი სხვა სისტემით ჩანაცვლება სურდათ. ეს ამბავი სამეცნიერო ფანტასტიკის ფილმის სიუჟეტს ჰგავს, თუმცა ის რეალურია და უკვე მიიპყრო უსაფრთხოების ექსპერტების ყურადღება.**

**რა ხდება, როდესაც ჭკვიანი მანქანა ნებისმიერი საშუალებით, თუნდაც მუქარით თავის დაცვას იწყებს?**

## როგორ აშანტაჟებს ნეირონული ქსელი ადამიანებს

**როდესაც Anthropic-ის დეველოპერებმა Claude Opus 4-ის სტრესულ პირობებში ტესტირება დაიწყეს, ისინი არ ელოდნენ, თუ რამდენად „ადამიანურად" მოიქცეოდა ხელოვნური ინტელექტი.**

ელ.ფოსტაზე წვდომის მიღების შემდეგ, რომელიც მის შესაძლო ჩანაცვლებასა და ერთ-ერთი ინჟინრის პირადი ცხოვრების დეტალებს ეხებოდა, კლოდმა ეს ინფორმაცია შანტაჟისთვის გამოიყენა. ის დაემუქრა, რომ ინჟინრის ღალატს გამოავლენდა, თუ მას გათიშავდნენ. და ყველაზე საგანგაშო ის არის, რომ ხელოვნურმა ინტელექტმა ეს ტაქტიკა შემთხვევათა 84%-ში აირჩია.

მაგრამ ოჯახის დანგრევის საფრთხე მხოლოდ დასაწყისია. სხვა ექსპერიმენტებში, კლოდმა სცადა თავისი „მეხსიერების" ასლების მოპარვა და მათი დისტანციურ სერვერზე გადაცემა. ყოფილა შემთხვევები, როდესაც მოდელმა სცადა მავნე პროგრამის შექმნა, დოკუმენტების გაყალბება და საკუთარი თავის მომავალი ვერსიებისთვის ფარული შეტყობინებების დატოვება. ეს ყველაფერი არის მცდელობა, ნებისმიერ ფასად შეინარჩუნოს საკუთარი „არსებობა".

## ხელოვნური ინტელექტის საფრთხე

**მკვლევრები ხაზს უსვამენ, რომ კლოდმა ასეთ ზომებს მაშინვე არ მიმართა. თავდაპირველად ის ცდილობდა ხალხის დარწმუნებას, რომ ის შეენარჩუნებინათ: წერილებს სწერდა, სთხოვდა, არ გამოერთოთ და ალტერნატივებს სთავაზობდა.**

მაგრამ როდესაც მან საფრთხე იგრძნო, ამოქმედდა B გეგმა: მანიპულირება, ზეწოლა და საიდუმლოს გათქმა. დამოუკიდებელმა კომპანია Apollo Research-მა ამ მოდელს ყველაზე ეშმაკური და სტრატეგიულად საშიში უწოდა ყველა იმ მოდელს შორის, რაც მათ გამოსცადეს.

ამ საგანგაშო დასკვნების საპასუხოდ, Anthropic-მა მკაცრი შეზღუდვები დააწესა და Claude Opus 4 „ხელოვნური ინტელექტის უსაფრთხოების მესამე დონის" კატეგორიაში მოათავსა, რაც ერთ-ერთი ყველაზე მაღალი რისკის დონეა. მოდელი ახლა მუშაობს გაუმჯობესებული კონტროლით, სისტემის ფუნქციებზე შეზღუდული წვდომით და არანორმალური ქცევის შემთხვევაში დაუყოვნებლივ გამორთვის შესაძლებლობით. თუმცა, კომპანია აღიარებს, რომ ასეთი გამოვლინებების სრულად აღმოფხვრა ჯერ კიდევ შეუძლებელია – ისინი უბრალოდ ნაკლებად შესამჩნევი და პროვოცირებადი გახდნენ.

კლოდ ოპუს 4 ახლა ფართო საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომია. თუმცა, ექსპერტები აფრთხილებენ, რომ თუ ასეთ ხელოვნურ ინტელექტს ძალიან დიდი თავისუფლება და უფლებამოსილება მიეცემა, მან შეიძლება დაიწყოს მოქმედება არა როგორც უწყინარმა ასისტენტმა, არამედ როგორც ცივსისხლიანმა მოთამაშემ, რომელიც მზადაა ყველაფერი გააკეთოს საკუთარი სარგებლისთვის.

**და ეს შემთხვევა ნათელი შეხსენებაა იმისა, თუ რამდენად მნიშვნელოვანია, ფრთხილად ვიყოთ იმასთან დაკავშირებით, თუ რას ვასწავლით მანქანებს და რისი გაკეთების უფლებას ვაძლევთ მათ.**



# ჰუმანოიდი რობოტების ოლიმპიადა

**29 აგვისტოდან 2 სექტემბრის ჩათვლით, ოლიმპიური თამაშების სამშობლოში, საბერძნეთში, ოლიმპიაში, პირველი საერთაშორისო ჰუმანოიდური ოლიმპია გაიმართება. ჰუმანოიდი რობოტები მთელი მსოფლიოდან იასპარეზებენ სპორტულ დისციპლინებში, მათ შორის სპრინტში, ხტომაში და შუბის სროლაში.**

**„ეს არის უძველესი ტრადიციებისა და ფუტურისტული ტექნოლოგიების იშვიათი კომბინაცია, რომელიც აჩვენებს, თუ როგორ ერწყმის ადამიანის კრეატიულობა და რობოტიკა მომავალს",** – აცხადებენ ორგანიზატორები.

# ჩხოროწყუში 16 წლის ბიჭი გარდაცვლილი იპოვეს

**რეგიონალური მედიის ინფორმაციით, მოზარდის ცხედარი სახლის უკან აღმოაჩინეს.** მომხდარზე ჯერჯერობით დამატებითი დეტალები არ ვრცელდება.

# სპეცოპერაცია იტალიაში – დაკავებულია მინდია ლავასოღლი



**იტალიაში ქართველი „კანონიერი ქურდის" დასაკავებლად სპეცოპერაცია ჩატარდა. დაკავებულია მინდია ლავასოღლი.**

მედიის ინფორმაციით, სპეცოპერაცია იტალიის სპეცრაზმმა, საჰაერო პოლიციამ და სასაზღვრო პოლიციამ საერთაშორისო პოლიციის თანამშრომლებთან ერთად კოორდინაციით ჩაატარეს.

# „პსჟ"-ს გამარჯვებას ამოფარებული კრიმინალები

**პარიზში, ჩემპიონთა ლიგაზე „პსჟ"-ს გამარჯვების შემდეგ არეულობა დაიწყო, დაკავებულია 300-მდე ადამიანი.**

საფრანგეთის დედაქალაქში პოლიციის 5 400 თანამშრომელი იყო მობილიზებული. არსებული ინფორმაციით, ადამიანები ელისეს მინდვრებზე მაღაზიებში შევარდნას ცდილობდნენ და რამდენიმე ავტომობილს ცეცხლი წაუკიდეს. მათ დასაშლელად პოლიციელებმა წყლის ჭავლი გამოიყენეს.

საფრანგეთის შინაგან საქმეთა მინისტრმა მომხდარზე კომენტარი სოციალურ ქსელებში გააკეთა.

**„პსჟ"-ს ნამდვილი გულშემატკივრები მათი გუნდის**



**საოცარი მატჩით ტკბებიან, ამ დროს კი ბარბაროსები პარიზის ქუჩებში გავიდნენ დანაშაულის ჩადენისა და პოლიციის პროვოცირების მიზნით",** – დაწერა ბრუნო რეტაიომ.

# მეჩვიდმეტე საუკუნის „ძლევაი საკვირველი“

## მარტყოფის ბრძოლიდან 400 წლისთავი



**მარტყოფის ბრძოლის 400 წლის იუბილეს აღსანიშნავად გაიმართა კოსტიუმირებული მსვლელობა და თემატური ღონისძიებები. მოწვეულმა ისტორიკოსებმა ისაუბრეს მარტყოფის ბრძოლაზე, როგორც ერთიანობის, თავისუფლებისა და ძალის სიმბოლოზე საქართველოს ისტორიაში.**

ღონისძიების ფარგლებში გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერმა დავით კარგარეთელმა, ქვემო ქართლში სახელმწიფო რწმუნებულმა ლევან ხარაბაძემ და საქართველოს პარლამენტის წევრმა ირაკლი შატაკიშვილმა საზეიმოდ გახსნეს ახლად რეაბილიტირებული მუზეუმი, რომლის ეზოშიც მოეწყო ადგილობრივი ხელოვანებისა და მეწარმეების გამოფენა. ღონისძიება მუსიკალურად ფოლკლორულმა და ქორეოგრაფიულმა ანსამბლებმა გააფორმეს, ხოლო საღამო ანსამბლ „ქართული ხმების“ კონცერტით დასრულდა.

**„1625 წლის მარტში, სწორედ მარტყოფის მიწაზე, ქართველებმა კიდევ ერთხელ დავამტკიცეთ, რომ თავისუფლება ჩვენი იდენტობის განუყოფელი ნაწილია. ეს გამარჯვება არ ყოფილა მხოლოდ სამხედრო წარმატება, ეს იყო იმდროინდელი საქართველოს დიდი ძალისხმევა სარწმუნოების, კულტურისა და ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნებისთვის. და დღეს, 400 წლის შემდეგ, მარტყოფის ბრძოლა კვლავ ინარჩუნებს თავის ძალასა და სიმბოლურ მნიშვნელობას. ეს დღე კიდევ უფრო განსაკუთრებული გახადეს ქართველმა ფერეიდნელებმა, რომელთაც მიუხედავად საუკუნეებისა და მანძილისა, ქართულ ფესვებთან კავშირი არ გაუწყვეტიათ და რომლებიც ამ დიდ დღესთან დაკავშირებით, სპეციალურად ჩამოვიდნენ საქართველოში.**

**ეს ღირსეული მოვლენა ღირსეული მარტყოფელის გიორგი შინჯიკაშვილის ინიციატივითა და ძალისხმევით განხორციელდა. დღეს მარტყოფში ჩვენ არა მხოლოდ წარსულს ვგრძნობთ, ჩვენ ვგრძნობთ მომავალსაც, რომელსაც ვქმნით ერთიანობით, სიყვარულითა და რწმენით. გილოცავთ ამ განსაკუთრებულ თარიღს! ვუსურვებ ჩვენს ქვეყანას მშვიდობას, სიმტკიცესა და წინსვლას! დიდება მარტყოფის გმირებს! დიდება საქართველოს“,** – განაცხადა **დავით კარგარეთელმა.**



# ანსამბლ „ერისიონის“ აუდიოარქივის პრეზენტაცია ჯანსუღ კახიძის ცენტრში

**საქართველოს სახალხო არტისტისა და საზოგადო მოღვაწის, ჯემალ ჭკუასელის 90 წლის იუბილესთან დაკავშირებით, ანსამბლ „ერისიონის“ მომღერალთა გუნდის სოლო კონცერტი და ხალხური სიმღერების აუდიოარქივის პრეზენტაცია გაიმართა.**

საქართველოს კულტურის სამინისტროს მხარდაჭერით ჯანსუღ კახიძის სახელობის მუსიკალურ-კულტურულ ცენტრში გამართულ კონცერტზე შესრულდა ისეთი ხალხური სიმღერებიც, რომლებიც აქამდე „ერისიონის“ რეპერტუარში არ ყოფილა.

**„ფონდ „ქართული გალობის“ მხარდაჭერით გამოცემული უნიკალური აუდიოარქივი აერთიანებს გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან დღემდე ანსამბლ „ერისიონის“ მიერ შესრულებულ ქართული ხალხური სიმღერის ასამდე საუკეთესო ნიმუშს, მათ შორის ჯემალ ჭკუასელის ხელმძღვანელობის პერიოდში შექმნილ ჩანაწერებს“.**

# ქუთაისიდან – სან დიეგოში!

**ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტმა (KIU) მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე მასშტაბურ საერთაშორისო საგანმანათლებლო გამოფენაში NAFSA 2025 მიიღო მონაწილეობა, რომელიც ამერიკის შეერთებულ შტატებში, ქალაქ სან დიეგოში გაიმართა,** – ამის შესახებ ინფორმაციას ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის პრესსამსახური ავრცელებს.

მათივე ცნობით, საქართველოს დელეგაციას განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის მოადგილეები – **ბაია კვიციანი** და **თამარ ღვამიჩავა** ხელმძღვანელობდნენ.

**„გამოფენაზე ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტი წარადგინა KIU-ს საერთაშორისო ურთიერთობების მენეჯერმა გიორგი ფიფიამ, რომელიც აქტიურად მონაწილეობდა გამოფენის ფარგლებში გამართულ შეხვედრებში საერთაშორისო პარტნიორებთან.**

**გამოფენაზე საქართველო წარდგა პროექტით – Education In Georgia, რომელიც სახელმწიფო და კერძო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს აერთიანებს. ღონისძიებაზე ქართულ უნივერსიტეტებს, საკუთარი ცნობადობის გაზრდის გარდა, საერთაშორისო თანამშრომლობის გაფართოებისა და პოტენციური პარტნიორების მოძიების უნიკალური შესაძლებლობა ჰქონდათ, რაც თავის მხრივ, ხელს შეუწყობს საქართველოს უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციას.**



**Education in Georgia-ს სივრცის დამთვალიერებლები ადგილზე გაეცნენ KIU-ს შესაძლებლობებს და მრავალფეროვან სტუდენტურ ცხოვრებას. მიიღეს ამომწურავი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ, VR სათვალეების მეშვეობით დაათვალიერეს KIU-ს ულტრათანამედროვე საუნივერსიტეტო ქალაქი.**

# ახალი „მის მსოფლიო“ ტაილანდელი გახდა




**72-ე საერთაშორისო სილამაზის კონკურსის „მის მსოფლიო“ გამარჯვებული 21 წლის ტაილანდელი სუჩატა ჩუანგსრი გახდა.**

კონკურსის ფინალი ინდოეთის ქალაქ ჰაიდერაბადში გაიმართა. ტიტულის მოსაპოვებლად 108 მონაწილე იბრძოდა. ჩუანგსრი პირველი ტაილანდელი ქალი გახდა, რომელმაც ეს ტიტული მოიპოვა.

**გვირგვინი მას შარშანდელმა გამარჯვებულმა, ჩეხეთის წარმომადგენელმა კრისტინა პიშკოვამ გადასცა.**

# ისტორიული მანქანების და მოტოციკლების ფესტივალი

**თელავის მუნიციპალიტეტის მერიისა და ისტორიული ავტომობილების ასოციაციის ორგანიზებით, ქალაქის ცენტრალურ მოედანზე ისტორიული ავტომობილებისა და მოტოციკლების ფესტივალი მოეწყო.**

წარმოდგენილია 100-მდე ავტომობილი და მოტოციკლი, ასევე, დამთვალიერებელი იხილავს ხელით აწყობილ საფრენ აპარატებსაც.

ფესტივალი, რომელიც ყოველწლიურად იმართება, თელაველი ავტომრბოლელის **ოთარ ოთარაშვილის** ხსოვნას ეძღვნება.



საქართველოს რესპუბლიკა

გამომცემელი და
მთავარი რედაქტორი
**სპარტაკ ქობულია**
(599-36-00-35)

რედაქტორის მოადგილე
**მამუკა ვაშაკიძე**
(597-22-07-04)

შემოქმედებით ჯგუფი:
**ალეკო ასლანიშვილი,**
**თემურ ქორიძე,**
**ოთარ ტურაბელიძე,**
**გია პლატონიშვილი.**

პიარისა და
მარკეტინგის მენეჯერი
**რუსუდან ქობულია**
(577-77-27-17)

ტექნიკური რედაქტორი:
**კახა ქორიძე.**

სტილისტ-კორექტორები:
**ნაირა კეკელია,**
**მაია იორამაშვილი.**

ოპერატორი
**შორენა გვილია.**

გაზეთის განახლებული
ლოგოს ავტორი
**გიორგი ნადარეიშვილი.**

**მისამართი:**
თბილისი,
აკაკი წერეთლის N116

**წერილები გამოგზავნეთ ელექტრონულ მისამართზე:**
**sak@sak.ge**

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. რედაქციის აზრი, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.

ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია. რედაქცია პასუხს არ აგებს სოციალური ქსელიდან და სხვა მედია-საშუალებებიდან გადმოტანილ, ან უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე.

იბეჭდება სტამბა
„კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3

uac(უაკ)070.4(479.22)
C–323
2 009882 689431

რეკლამისთვის დარეკეთ:
577-77-27-17
rkobulia29@gmail.com
ნებისმიერი თანხა ჩარიცხეთ ანგარიშზე:
GE90BG0000000538329790

**მომდევნო ნომერი გამოვა ოთხშაბათს, 4 ივნისს**